



# ირიბი ჩვენებები

## *საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა*

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ანალიტიკური განყოფილება

თბილისი

2016

**ნაშრომი შეადგინეს და დაამუშავეს**

კრებულის რედაქტორი:

**მარინა კვაჭაძე**

სამართლის დოქტორი, პროფესორი

ანალიტიკური განყოფილების უფროსი

**ლია მელაშვილი**

ანალიტიკური განყოფილების უფროსის მოადგილე

**ნინო შონიამ**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის

მთავარი კონსულტანტი

**ეკა მამალაძემ**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის

მთავარი სპეციალისტი

## ირიბი ჩვენებები

### საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა

#### შესავალი

სისხლის სამართლის პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი მტკიცებულებებს უკავია. სწორედ აღნიშნული განაპირობებს სასამართლოში საქმის წარმართვის ბედს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ხდება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს მოწმის ჩვენება წარმოადგენს. კერძოდ, აღნიშნული გულისხმობს მოწმის მიერ სასამართლოში მიცემულ ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. იმისათვის, რომ მოწმის ჩვენება პროცესში დასაშვები მტკიცებულება იყოს, მოწმეს უნდა შეეძლოს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროზე მითითება, გარდა ამისა მას უნდა ჰქონდეს უნარი, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები. მოწმის ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობის არსებობისას, მხარეს უფლება აქვს მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების (ჩვენებების) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.<sup>1</sup>

გარდა მოწმის პირდაპირი ჩვენებისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოწმის ირიბი ჩვენების ინსტიტუტს. ირიბ ჩვენებას გააჩნია ნაკლები მტკიცებულებითი მნიშვნელობა, ვინაიდან ეს ინფორმაცია შეუძლებელია გადამოწმდეს ჯვარედინი დაკითხვით. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ მაშინ, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით, რომელიც ირიბ ჩვენებას არ წარმოადგენს.

მოწმის დაკითხვის წესის ახალი პროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ იქნა შემუშავებული, ითვალისწინებს გარკვეულ ცვლილებებს და სიახლეებს სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ, როგორც განმარტებითი ბარათით არის განსაზღვრული, კანონპროექტის მომზადება განაპირობა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მტკიცებულებებთან, მათ შორის, ირიბი ჩვენების

---

<sup>1</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლი.

დასაშვებობასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არასაკმარისი რეგულაციების არსებობამ. პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნოვაციაა ე.წ. „განაგონის“ ცნება (არსებული უფრო ვიწრო მნიშვნელობის მქონე ტერმინის - „ირიბი ჩვენების“ ნაცვლად), რომლის დეფინიციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მისი კონკრეტული ელემენტები. კერძოდ, განაგონის ცნება სცდება ირიბი ჩვენების ჩარჩოს და მოიცავს, ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც მესამე პირმა გამოხატვის ნებისმიერი ფორმით შეიძლება გადმოსცეს. კანონპროექტი აწესრიგებს, ასევე, ბრალდებულისა და მოწმის ნასამართლობის ან ხასიათის ნიშან-თვისებების შესახებ მტკიცებულებების წარდგენის საკითხს და ამ მიზნით განსაზღვრავს ამგვარი მტკიცებულების დაუშვებლობის პირობებს, ისევე როგორც - შემთხვევებს, როდესაც მხარეს შეუძლია სასამართლოში ასეთი მტკიცებულებების გამოყენება. კანონპროექტით ბევრად უფრო დეტალურად განიმარტება მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები (კოდექსის 82-ე მუხლი), რომელთა ერთობლიობაც აუცილებელია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტი პროცესის წარმმართველი პირისათვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრებას ითვალისწინებს. კერძოდ, მოსამართლეს უჩნდება ვალდებულება, სამართლიანი და გონივრული კონტროლი გაუწიოს მოწმის დაკითხვის პროცესს, რათა უზრუნველყოს პროცესის ეფექტიანობა და თავიდან აიცილოს დროის გაჭიანურება და სხვა უკანონო ქმედებები.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ირიბი ჩვენების საკითხები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ასევე აღნიშნულ კონტექსტში განხილულია - ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა.

ბროშურაში აღწერილი და გაანალიზებული საერთაშორისო კანონმდებლობა და პრაქტიკა ხელს შუწყობს სსსკ-ში განხორციელებული ცვლილებების უკეთ აღქმას და დააინტესერებს როგორც ფართო პროფილის იურისტებს, ასევე ამ დარგში მომუშავე ყველა პირს.

ირიბი ჩვენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სასამართლოს  
პრეცედენტული სამართლის მიხედვით

*იქსი გერმანიის წინააღმდეგ*

*(საჩივარი № 8414/78)*

*განჩინება*

*სტრასბურგი, 4 ივლისი/1979წ.*

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია<sup>2</sup> წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 250-ე მუხლის თანახმად, მოწმეები დაკითხული უნდა იყვნენ სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. სსკ-ს 251-ე მუხლის მიხედვით, გამონაკლის შემთხვევებში, ნებადართულია მოწმეთა მიერ სასამართლო დაკითხვამდე მიღებული ჩვენების გამოყენება. საქმის განხილველ მოსამართლეს, მოწმის დაკითხვის დროს, შეუძლია მის მიერ პოლიციისათვის მიცემული ჩვენება გამოიყენოს და პოლიციის ოფიცერს, რომელმაც მოწმის დაკითხვა განახორციელა, საქმის განხილვის დროს შეუძლია შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენა. კომისია აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეზე პოლიციის წინაშე მოწმეების მიერ ჩვენებების მიცემისას აღნიშნული პრინციპები იქნა გამოყენებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია მიიჩნევს, რომ მსგავსი პროცედურა არ არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პარაგრაფით გათვალისწინებულ „სამართლიანი განხილვის“ უფლებას. კერძოდ, აღნიშნული დებულება, არ გამორიცხავს, რომ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით სასამართლოს შეუძლია ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობა, თუ საქმეში არსებული

---

<sup>2</sup> 1998 წლის 1 ნოემბრიდან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმის ამოქმედების შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ შეწყვიტა თავისი არსებობა და ფუნქციონირება განაგრძო ერთიანმა, მუდმივმოქმედმა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ. მე-11 ოქმის ამოქმედებამდე კომისია საქმეთა ერთგვარ ფილტრს წარმოადგენდა. ინდივიდუალური განმცხადებლების და ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ კონვენციის დებულებათა შესაბამისად შეტანილი ყველა განაცხადი ექვემდებარებოდა პირველად განხილვას კომისიის მიერ, რომელიც წყვეტდა მათი მისაღებობის საკითხს. საჩივრის მისაღებად გამოცხადების შემთხვევაში, თუკი არ მიიღწეოდა მორიგება მხარეებს შორის, კომისია წარმოადგენდა მოხსენებას, რომელიც ადგენდა ფაქტებს და საკონსულტაციო მოსაზრებას, საჩივრის არსებით მხარესთან დაკავშირებით. ამის შემდეგ, კომისიასა და/ან მოპასუხე სახელმწიფოს მთავრობას შეეძლოთ, საჩივარი გადაეცათ სასამართლოსათვის, რათა მას გამოეტანა საბოლოო, სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილება. (რედ.შენ.)

გარემოებების გათვალისწინებით მსგავსი მტკიცებულები არ იქნება გამოყენებული კანონის დარღვევით.

წინამდებარე საქმეზე გერმანიის სასამართლოების მიერ ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობა არ იყო უსამართლო. კომისია აღნიშნავს, რომ პირის მიმართ წაყენებული ბრალდება არ ეფუძნებოდა მხოლოდ მოწმეთა მიერ პოლიციისათვის მიცემულ ჩვენებებს, არამედ, აგრეთვე გამოყენებული იქნა ქ-ნი გ.-ს ჩვენება, რომელმაც სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ მან ჰეროინი მომჩივნისაგან მიიღო. ბრალდება ასევე ეფუძნებოდა, პოლიციის ორი ოფიცრის ჩვენებას, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ მომჩივნის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა და შენახვის კვალს მიაგნეს.

კომისია საბოლოოდ აღნიშნავს, რომ პოლიციისა და სასამართლოს წინაშე მოწმეების მიერ წინააღმდეგობრივი ჩვენების მიცემის გათვალისწინებით, რაიონულ და რეგიონულ სასამართლოებს მათი განცხადებების სანდოობის კუთხით უნდა ემსჯელათ. კომისია ადგენს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღებით შეისწავლა აღნიშნული საკითხი და რომ მათ მიერ სანდოობის განსაზღვრა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევასთან დაკავშირებით ეჭვებს არ წარმოშობს.

კომისია ადგენს, რომ ეროვნული სამართალწარმოების შემოწმების შედეგად ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

*შოლერი გერმანიის წინააღმდეგ*

*(საჩივარი № 14122/10)*

*გადაწყვეტილება (მეხუთე სექცია)*

*სტრასბურგი/ 18 მარტი, 2015წ.*

59. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხედველობაში იქნებოდა მიღებული, რომ პირველი და მეორე ტრანზაქციის დროს ამოღებული ნარკოტიკული საშუალება წარმოადგენდა ნივთიერ მტკიცებულებას, პირველ და მეორე დანაშაულთან დაკავშირებული მსჯავრდება დაფუძნებული იყო პოლიციის ინფორმატორის ჩვენებაზე. ამის საპირისპიროდ, რაც შეეხება მესამე დანაშაულს, ს.-ს ჩვენება მომჩივნის წინააღმდეგ არსებული მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტ მტკიცებულებას წარმოადგენდა. სასამართლომ თავისი მსჯელობა მომჩივნის თანამონაწილის მიერ აღიარებით ჩვენებას დააფუძნა. ჩვენება სასამართლოზე გამომძიებელმა წარმოადგინა და, შესაბამისად, აღნიშნული ჩვენება ირიბ ჩვენებას

წარმოადგენდა. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აგრეთვე, ეყრდნობოდა მტკიცებულებას, რომლის მიხედვითაც მომჩივანს პოლიციამ ქმედების განხორციელების დროს შეუსწრო.

60. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ უნდა განსაზღვროს რამდენად არსებობდა საკმარისი საპირწონე ფაქტორები, მათ შორის არსებობდა თუ არა ძლიერი პროცედურული გარანტიები, რომელიც მოწმის სადავო ჩვენების სანდოობასთან დაკავშირებით სამართლიანი და სათანადო შეფასების განხორციელების საშუალებას იძლეოდა. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის დაცვის უფლებების შეზღუდვის მთავარ საპირწონე ფაქტორს წარმოადგენდა ის, რომ მას მიეცა პოლიციის ინფორმატორისათვის წერილობით შეკითხვების დასმის შესაძლებლობა, რაზეც მომჩივანს ამ უკანასკნელმა პასუხი გასცა, ხოლო პასუხები სასამართლო პროცესზე გაჟღერდა.

61. გარდა ამისა, რეგიონულმა სასამართლომ გულდასმით შეისწავლა მის წინაშე არსებული ირიბი ჩვენება. სასამართლომ ირიბი ჩვენების სანდოობა მისი დამადასტურებელი მტკიცებულებების ფონზე შეამოწმა. კერძოდ, მესამე და ყველაზე მძიმე დანაშაულთან დაკავშირებით მოპოვებული დამატებითი მტკიცებულება მიზნად ისახავდა ერთსა და იმავე პირებს შორის ნარკოტიკული საშუალების გადაგზავნის ორ შემთხვევასთან დაკავშირებული ირიბი ჩვენების გამყარებას. საქმის განხილველი სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა ფრთხილი შეფასება შემდგომში მათ მიერ მომჩივნის ბრალდების განხილვის დროს დადასტურდა. მომჩივანი დაობდა, რომ პოლიციის ინფორმატორმა ს.-მ წინააღმდეგობრივი და არასწორი ჩვენება მისცა იმასთან დაკავშირებით თუ რა იარაღი ჰქონდა მომჩივანს მასთან შეხვედრის დროს. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას თან ჰქონდა დანა ინსტრუმენტებით (multi-tool). ამასთან მიმართებით რეგიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ინფორმატორის ჩვენებები მისი პირველი და მეორე დაკითხვის დროს არ იყო წინააღმდეგობრივი და რომ მან სასამართლოს მოთხოვნით წარმოადგინდა დამატებითი დეტალები იმ იარაღის შესახებ, რომელიც მომჩივანს თან ჰქონდა.

62. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არსებობდა საკმარისი საპირწონე ფაქტორები, რომელიც საქმის განმხილველ სასამართლოს საშუალებას აძლევდა, მოწმის ჩვენების სანდოობა სამართლიანად და სათანადოდ შეეფასებინა.

63. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ სამართალწარმოება მთლიანობაში არ იყო უსამართლო

იმის გამო, რომ მას არ მიეცა მოწმეთა პირადად დაკითხვის შესაძლებლობა. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

**საქმე- ჰაასი გერმანიის წინააღმდეგ**  
**(საჩივარი № 73047/01)**  
**განჩინება (მესამე სექცია)**  
**სტრასბურგი/ 17 ნოემბერი, 2005წ.**

მთლიანობაში სამართალწარმოებისა და სავარაუდო ხარვეზების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოებაში მომჩივნის წინააღმდეგ ირიბი ჩვენებების ერთობლიობას ჰქონდა ადგილი. მთავარ სხდომაზე სხვადასხვა მოწმემ წარმოადგინა მტკიცებულება; აღნიშნული მოწმეების დაკითხვის შესაძლებლობა მომჩივანს სხვადასხვა მიზეზების გამო არ მიეცა. თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა საკმაო ძალისხმევა გასწიეს, რათა მოეპოვებინათ მოწმე ს.-ის ზეპირი ჩვენება და ყურადღებით შეეფასებინათ როგორც მისი, აგრეთვე ანონიმური ინფორმატორების განცხადებები. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის მსჯავრდება ეფუძნებოდა სხვადასხვა მტკიცებულებას, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაცვის უფლების შეზღუდვა არ მომხდარა იმ ფარგლებით, რაც შეუთავსებელი იყო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფსა და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტთან. ამრიგად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მთლიანობაში სამართალწარმოება არ იყო არასამართლიანი.

**საქმე - მირილაშვილი რუსეთის წინააღმდეგ**  
**(საჩივარი № 6293/04)**  
**გადაწყვეტილება (პირველი სექცია)**  
**სტრასბურგი/ 11 დეკემბერი, 2008წ.**

#217. ეროვნულმა სასამართლოებმა გარკვეული პირობების არსებობისას, უნდა გაითვალისწინონ, მოწმეთა ის ჩვენებები, რომლებიც მიცემულ იქნა საგამომიებო ორგანოებისთვის. პირველ რიგში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, იყო თუ არა უზრუნველყოფილი ხელისუფლების მიერ მოწმის პირადად გამოცხადება. ამასთან, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ განმცხადებელმა რაიმე ფორმით არ განაცხადა უარი ჯვარედინ დაკითხვაზე. თუკი, სასამართლო დაადგენს, რომ მოწმე საპატიო მიზეზების გამო იყო მიუწვდომელი და ვერ მოხერხდა მისი დაკითხვა, სასამართლომ უნდა განიხილოს სხვა ფაქტორებიც. კერძოდ, სასამართლომ უნდა გაარკვიოს, იყო



თუ არა სასამართლოში გაჟღერებული მოწმის ჩვენებები დადასტურებული სხვა მტკიცებულებებით (თუნდაც ყურმოკრული ინფორმაციით). სასამართლომ ასევე უნდა გაითვალისწინოს სხვა ფაქტორებიც, მაგალითად ეროვნული სასამართლოების მიერ გამოყენებული პროცედურები და შეისწავლოს მოწმეთა ჩვენებები.

**ფაფროვიჩი პოლონეთის წინააღმდეგ**

(საჩივარი: 43609/07)

**გადაწყვეტილება (მეთხე სექცია)**

**სტრასბურგი/ 17 ივლისი, 2012წ.**

მომჩივანი, პოლონელი რობერტ ფაფროვიჩი, დაიბადა 1971 წელს და ცხოვრობს ნოვი საზში, პოლონეთში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფსა (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტზე (სამართლიანი სასამართლოს უფლება- მოწმის დაკითხვის უფლება) დაყრდნობით, იგი ჩიოდა, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოება, რომლის თანახმადაც მას ნარკოტიკული საშუალებების გაყიდვაში ედებოდა ბრალი, უსამართლო იყო. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას არ მიეცა მოწმის ჯვარედინად დაკითხვის შესაძლებლობა. მოწმე გახლდათ არასრულწლოვანი, რომლის ჩვენებაც გამოყენებული იყო მომჩივნის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენის მისაღებად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა მომჩივნის საჩივარი და დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში.

53. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დიდი პალატის გადაწყვეტილებაში საქმეზე ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (nos. 26766/05 and 22228/06, § 118, 15 December 2011), ნაწილობრივ შეცვალა მისი ადრინდელი მიდგომა ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული გარანტიები არის ამ დებულების პირველ პარაგრაფში გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის სპეციფიკური ასპექტები, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასებისას. დამატებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მის ძირითად ამოცანას მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით წარმოადგენდა სისხლის

სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასება მთლიანობაში. (იხილეთ, *Taxquet v. Belgium* [GC], no. 926/05, § 84, 16 ნოემბერი 2010). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასეთი შეფასებისას აკვირდება მთლიანად სამართალწარმოებას, იმას თუ რამდენად იქნა დაცული დაცვის მხარის უფლებები, განსაკუთრებულ შემთხვევებში არკვევს, დაცული იყო თუ არა მოწმეთა დაკითხვის უფლება (იხილეთ, *Doorson v. the Netherlands*, 26 March 1996, § 70, Reports of Judgments and Decisions 1996-II). და, აგრეთვე, მხედველობაში იღებს დანაშაულის სათანადოდ გამოძიების თაობაზე საზოგადოებისა და დაზარალებულთა ინტერესებს (იხილეთ, *Gäfgen v. Germany* [GC], no. 22978/05, § 175, ECHR 2010-...). გარდა ამისა, მტკიცებულებათა დასაშვებობა არის ეროვნული კანონმდებლობისა და ეროვნული სასამართლოების რეგულირების საგანი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქციას წარმოადგენს იმის შეფასება, ჩატარდა თუ არა სამართალწარმოება სამართლიანად (იხილეთ *Gäfgen*, cited above, § 162). მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი მოიცავს პრინციპს, რომ მანამ, სანამ ბრალდებულს დაედება მსჯავრი, მის წინააღმდეგ ყველა მტკიცებულება, როგორც წესი, საქმის საჯარო განხილვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს მისი თანდასწრებით იმ მიზნით, რომ მას ჰქონდეს საპირისპირო არგუმენტის წარმოდგენის საშუალება. შეიძლება დაიშვას გამონაკლისები ამ პრინციპიდან, მაგრამ მან არ უნდა დაარღვიოს დაცვის მხარის უფლებები, რომლის მიხედვითაც, როგორც წესი, ბრალდებულს უნდა მიეცეს მის წინააღმდეგ მოწმეთა აცილებისა და კითხვების დასმის ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობა მაშინ, როდესაც მოწმე ჩვენებას წარადგენს ან სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზე (იხილეთ *Lucà v. Italy*, no. 33354/96, § 39, ECHR 2001-II; *Solakov v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"*, no. 47023/99, § 57, ECHR 2001-X).

54. ზემოაღნიშნული პრინციპის მიხედვით არსებობს ორი მოთხოვნა. პირველი, უნდა არსებობდეს მოწმის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის სათანადო მიზეზი. მეორე, როდესაც მსჯავრდება ეფუძნება მხოლოდ და გადამწყვეტად იმ პირის ჩვენებებს, რომლის დაკითხვის საშუალება არ ყოფილა და არც ბრალდებულს ჰქონია მისი დაკითხვის შესაძლებლობა გამოძიების ან სასამართლო პროცესის ეტაპზე. დაცვის მხარის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს იმ ფარგლებით, რომელიც შეუსაბამოა მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებთან (ე.წ. „ერთადერთი ან გადამწყვეტი წესი“ see *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC], cited above, § 119).

55. როდესაც მსჯავრდება მხოლოდ და გადამწყვეტად ეფუძნება სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელ მოწმეთა ჩვენებებს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა

სასამართლომ ეროვნულ დონეზე ჩატარებული სამართალწარმოება ძალიან დაკვირვებით უნდა შეისწავლოს. თითოეულ შემთხვევაში დგას საკითხი, არსებობდა თუ არა საკმარისი საპირწონე ფაქტორები, მათ შორის ღონისძიებები, რომელიც ასეთი მოწმის ჩვენების სანდოობის სამართლიანი და სათანადო შეფასების საშუალებას იძლევა. მსჯავრდება შეიძლება დაფუძნებული იყოს ამგვარ მტკიცებულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საქმისთვის მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე საკმარისად სანდოა (იხილეთ *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC], cited above, § 147).

56. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უპირველესად შეამოწმებს, არსებობდა თუ არა მოწმის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის სათანადო მიზეზი. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადადგა ყველა გონივრული ნაბიჯი მოწმის სასამართლო პროცესზე დასწრების უზრუნველსაყოფად. სამ შემთხვევაში ეროვნულმა სასამართლომ მოითხოვა პოლიციის დახმარება სასამართლოში გამოძახების შესახებ ცნობის ჩაბარებასა და მოწმის ადგილსამყოფელის დადგენასთან დაკავშირებით. როდესაც აღნიშნულმა ქმედებებმა შედეგი არ გამოიღო და როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს პოლიციამ აცნობა, რომ მოწმის ა.შ.შ.-დან დაბრუნების თარიღი უცნობი რჩებოდა, სასამართლომ გადაწყვიტა, 2006 წლის 25 ნოემბერს, საქმის ბოლო ზეპირ განხილვაზე, მოწმის ჩვენებები წაეკითხათ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოწმის ჩვენებების გამოყენებასთან დაკავშირებით, იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 391-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პარაგრაფების შესაბამისი, რომელიც სასამართლოს აძლევდა ამ ქმედების განხორციელების უფლებას მოწმის საზღვარგარეთ ხანგრძლივად ყოფნის გამო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი გადაწყვეტილება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე იყო ლეგიტიმური. სააპელაციო სასამართლომ შენიშნა, რომ მომჩივანი დაეთანხმა, რომ მოწმე წასული იყო საზღვარგარეთ და რომ პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო მისი დაკითხვა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ ეთანხმება მომჩივნის არგუმენტს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გადაედო ზეპირი მოსმენა მანამ, სანამ ის არ შეძლებდა მოწმის დაკითხვას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ არ შეიძლება დადანაშაულდეს პირველი ინსტანციის სასამართლო იმაში, რომ მან არ მოითხოვა სისხლის სამართლის საქმეზე ურთიერთდახმარება, (იგულისხმება სისხლის სამართლის საქმეებზე

ურთიერთდახმარების ევროპული კონვენცია-რედ.შენ.) ვინაიდან არ დადგენილა, რომ სასამართლომ იცოდა აღნიშნული მოწმის მისამართი ა.შ.შ.-ში.

57. მომჩივანი აცხადებდა, რომ მოწმე პოლონეთში 2007 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა და რომ სააპელაციო სასამართლოს შეეძლო დაეკითხა იგი. მან ეს არგუმენტი პირველად გააჟღერა მისი საკასაციო საჩივრის შეტანისას 2007 წლის 22 ივნისს; მაგრამ უზენაესმა სასამართლომ უარი უთხრა მას სამართალწარმოების ბოლო ეტაპზე საკითხის არარელევანტურობის მიზეზით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში ზეპირი განხილვა ჩატარდა 2007 წლის 17 აპრილს და როგორც ჩანს, მომჩივანს სააპელაციო სასამართლოს წინაშე არ განუცხადებია, რომ მოწმე დაბრუნდა პოლონეთში და რომ უნდა დაეკითხათ ის. მთავრობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მოწმე პოლონეთში 2007 წლის 24 ივნისს ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში ტარების გამო დააკავეს. შესაბამისად, სავარაუდოდ ის უნდა დაბრუნებულიყო პოლონეთში ამ თარიღამდე; თუმცა არ დადგენილა, რომ მოწმე სააპელაციო სასამართლოში გამართული ზეპირი განხილვის დროს ქვეყანაში იმყოფებოდა. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვერ ნახულობს მომჩივნის დასკვნის გამამყარებელ არგუმენტებს, რომ მოწმე ა.შ.შ.-დან პოლონეთში 2007 წლის 17 აპრილამდე იქნა დეპორტირებული.

58. შემდგომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ გამოიკვლია, მომჩივნის მსჯავრდება მხოლოდ და გადამწყვეტად ეფუძნებოდა თუ არა აღნიშნული მოწმის ჩვენებებს. პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოების მიერ გაკეთებული დასკვნების მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ მოწმის ჩვენებები არ იყო ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულება მომჩივნის წინააღმდეგ აღძრული საქმის შედეგისთვის (იხილეთ, *Gossa v. Poland*, no. 47986/99, § 63, 9 იანვარი 2007; *Biełaj v. Poland*, no. 43643/04, § 62, 27 აპრილი 2010; და *Jakubczyk v. Poland*, no. 17354/04, §§ 48-49, 10 მაისი 2011).

59. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული მოწმის ჩვენებები, რომელიც დაკავშირებული იყო მომჩივნის წინააღმდეგ ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობის ბრალდებებთან, დადასტურდა სხვა საკმარისი მტკიცებულებებით წინამდებარე საქმეში, კერძოდ სხვა მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებებით. მართალია, ამ მოწმეებმა (თანამონაწილეებმა) შეცვალეს თავიანთი ჩვენებები სასამართლო პროცესზე დაკითხვის დროს. თუმცა, პირველი ინსტანციის

სასამართლომ არ მიიღო მათი ახალი ჩვენებები და ახსნა, თუ რატომ არ იყო მათი ჩვენებების შეცვლა სანდო. მტკიცებულებათა შეფასება და მათი სანდოობა ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც არ არის ჩართული შიდასახელმწიფოებრივ სამართალწარმოებაში, არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასამართლოების შეფასებას. (იხილეთ, *mutatis mutandis*, *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC], cited above, § 154).

60. სააპელაციო სასამართლო დადგა მომჩივნის მტკიცების პირისპირ, რომ მისი მსჯავრდება დაფუძნებული იყო მომჩივნის ჩვენებაზე, რომელიც გამყარებული არ იყო სხვა მტკიცებულებებით. თუმცა, ის არ დაეთანხმა ამ არგუმენტებს გარდა ერთი მცირე ფაქტობრივი დეტალისა, რომელიც შეეხებოდა მომჩივნის მიერ PK-სთვის ნარკოტიკული საშუალებების მიყიდვას, რომელსაც ზეგავლენა არ ჰქონდა მომჩივნის მსჯავრდებასთან ან სასჯელთან. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოწმის ჩვენებები ცალსახად დადასტურდა PK-სა და KJ-ს ჩვენებებით.

61. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა სასამართლო დარწმუნდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა კრიტიკულად და მკაცრად განიხილეს აღნიშნული მოწმის ჩვენებები. მათ მხედველობაში მიიღეს სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც იყო რელევანტური, როდესაც საქმე შეეხო მათი სანდოობის შემოწმებას. სასამართლომ გაითვალისწინა ფაქტი, რომ მოწმე დაკითხვის დროს არასრულწლოვანი იყო, და მხედველობაში მიიღო ის მნიშვნელობა, რაც ამ ჩვენებებს მიენიჭა. (იხილეთ *Gossa*, § 62; *Bielaj*, § 61; *Jakubczyk v. Poland*, § 50 in fine, all cited above). ეროვნულმა სასამართლოებმა ასევე განიხილეს იმ ფსიქოლოგის მიერ შედგენილი მოხსენება, რომელიც ესწრებოდა მოწმის დაკითხვას და სასამართლომ დაადგინა, რომ ექსპერტის დასკვნები მისი ჩვენებების სანდოობასთან დაკავშირებით ეჭვებს არ წარმოშობდა.

62. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შემდგომში აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო განხილვისას და სააპელაციო განხილვისას მომჩივანმა თავი შეიკავა ჩვენების მიცემისგან. მას სასამართლო პროცესზე ეჭვი არ გამოუთქვამს მოწმის ჩვენებების სანდოობასთან დაკავშირებით და გააპროტესტა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოების მიერ აღნიშნული მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობა, იმ პირობებში, როდესაც არ მომხდარა მისი დაკითხვა. (*Jakubczyk*, § 50, cited above).

63. ზემოთ ხსენებულისა და მთლიანობაში სამართალწარმოების სამართლიანობის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო პროცესზე მოწმის ჩვენებების შემოწმების შეუძლებლობამ, არ დაარღვია დაცვის მხარის უფლებები იმგვარად, რომ ამას გამოეწვია მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში. ამ დასკვნის მიღებისას სათანადო მნიშვნელობა მიეცა იმ გარემოებას, რომ მოწმის ჩვენება მომჩივნის მსჯავრდებისათვის გადამწყვეტი არ იყო. ამრიგად, მომჩივნის სასამართლო პროცესი მთლიანობაში, არ იყო უსამართლო.

64. შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში.

***5. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ  
(საჩივარი № 8945/80)  
განჩინება  
სტრასბურგი, 13 დეკემბერი/1983წ.***

8. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ განიხილა ირღვეოდა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს უფლება, ფრანკფურტის სასამართლოს მიერ მტკიცებულებაზე, კერძოდ, ჰოლანდიაში მიცემულ ჩვენებაზე დაყრდნობით. კომისია კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ მე-6 მუხლის 1-ლი მუხლი არ გამოორიგხავს, რომ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის სასამართლო დაეყრდნოს ირიბ ჩვენებას, თუ საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით მსგავსი მტკიცებულების გამოყენება არ იქნება უსამართლო (საჩ. ნომ. 8414/78 . D .R . 17 გვ. 231 . 233).

9. წინამდებარე საქმეში კომისია ადგენს, რომ ფრანკფურტის სასამართლოს მიერ არაპირდაპირი მტკიცებულების გამოყენების შედეგად ადგილი არ ჰქონია კანონდარღვევას. კომისია აღნიშნავს, რომ მომჩივნის მსჯავრდება არ ეფუძნებოდა მხოლოდ ჰოლანდიაში მიცემულ ჩვენებებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გერმანიის სასამართლოს წინაშე მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს; ფრანკფურტის რეგიონალური სასამართლო მომჩივნის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, პირველ რიგში, დაეყრდნო ფრანკფურტის რაიონული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს მომჩივნის მიერ სასამართლო პროცესზე გაცხადებულ აღიარებას,

რომ იგი ამსტერდამში ჰერონის მოპოვებას ცდილობდა. სინამდვილეს შეესაბამება ის, რომ სასამართლო პროცესზე მომჩივანმა დეტალური ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. მან მკაფიოდ არ გაიმეორა რაიონული სასამართლოს წინაშე გაცხადებული აღიარებითი ჩვენება, თუმცა აღნიშნული ჩვენება მას არც უარყვია და არც შეუცვლია. ის ამტკიცებდა, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაული საკმარისად იყო სანქცირებული ჰოლანდიაში მისთვის დაკისრებული სასჯელით და, ბოლო მიმართვაში, მან მოითხოვა მსუბუქი სასჯელის დაკისრება. კომისიამ არ დაადგინა, რომ ფრანკფურტის რეგიონალურმა სასამართლომ მომჩივნის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევით გამოიტანა, რადგან იგი დაეყრდნო რაიონული სასამართლოს წინაშე მის მიერ გაცხადებულ აღიარებით ჩვენებასა და, აგრეთვე, ჰოლანდიაში მოპოვებულ ირიბ ჩვენებას.

10. კომისია აღნიშნავს, რომ მომჩივნის საჩივრები, ასევე ფრანკფურტის სასამართლოს მიერ ჰოლანდიაში მოპოვებული ირიბი ჩვენების გამოყენება არღვევდა გერმანიის საპროცესო კანონმდებლობას და კონსტიტუციური სამართლის დებულებებს, რის გამოც ფედერალურმა სასამართლომ და ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა. დეტალური მიზეზები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოცემული არ ყოფილა, თუმცა მთავრობამ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლით გათვალისწინებულ სასამართლოს უფლებამოსილებებზე მიუთითა. კომისია, ასევე, აღნიშნავს, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოცემულ საფუძვლებს. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ თვითნებურად მიიჩნია, რომ სახეზე იყო გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

11. მომჩივნის არგუმენტები ეფუძნება გერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლს, რომელიც საჯარო მოხელის მიერ მიცემულ ჩვენებას ეხება. მართალია, ეს დებულება ფართოდ, თუმცა არა ზოგადაა, განმარტებული და მითითებულია, რომ იგი კრძალავს გერმანიის სასამართლოების მიერ გერმანელი საჯარო მოხელის ჩვენების გამოყენებას შესაბამისი კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოს თანხმობის გარეშე (იხილეთ, Kleinknecht, Strafprozessordnung, 35 th edition 1981, footnote I I to Art 54). მაგრამ სსსკ 54-ე მუხლი, შეიძლება გამოიყენებოდეს ევროპული სახელმწიფოების საჯარო მოხელეების მიერ მიცემულ ჩვენებებთან დაკავშირებით, თუმცა არ არსებობს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის სასამართლოებმა ეს დებულება სხვა სახელმწიფოს თანამდებობის

პირების მიმართაც უნდა გამოიყენონ. უფრო მეტიც, აღნიშნული საქმის გარემოებები მხარეებს შორის სადავო არ არის, სადავო არ არის რომ ჰოლანდიაში მოპოვებული ჩვენებები შეიცავდა განცხადებებს, რომლის მოპოვების უფლებამოსილებაც ჰქონდათ ჰოლანდიელ პოლიციის თანამშრომლებს. შესაბამისად, კომისიამ არ დაადგინა, რომ მომჩივნის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლზე მითითება ადასტურებს მომჩივნის დასკვნას, რომ ფრანკფურტის სასამართლოს წინაშე საქმის განხილვა იყო უკანონო და, ამრიგად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას.

12. კომისიამ საბოლოოდ განიხილა საკითხი, უნდა ჩაითვალოს თუ არა არაკანონიერად ფრანკფურტის სასამართლოს მიერ ჰოლანდიაში მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჰოლანდიის იუსტიციის მინისტრმა საქმის განმხილველ მოსამართლეს უარი განუცხადა თხოვნაზე, რომ დახმარებოდა სასამართლო პროცესზე ჰოლანდიელი პოლიციის ოფიცრების გამოცხადების უზრუნველყოფაში. კომისია აღნიშნავს, რომ თხოვნას, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის თანახმად განხორციელდა, უარი ეთქვა არა იმ საფუძველით, რომ ის ეწინააღმდეგებოდა ურთიერთდახმარების შესახებ კონვენციის რომელიმე კონკრეტულ დებულებას, არამედ ჰოლანდიის დათქმაზე მითითებით, რომელიც "ne bis in idem" (არ შეიძლება ორჯერ მსჯავრდება ერთი და იმავე დანაშაულისათვის) პრინციპს შეეხება. კომისია აღნიშნავს, რომ ეს პრინციპი როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, არ იყო ცალკე გამოყოფილი და აღიარებული. შესაბამისად, კომისია არ ადგენს, რომ ფრანკფურტის სასამართლოს მიერ ჰოლანდიაში მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება, მათ მიერ დახმარებაზე უარის თქმის გათვალისწინებით, იყო არაკანონიერი და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის საწინააღმდეგო.

კომისიამ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას.



**ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ**  
**(საჩივარი № 9154/10)**  
**გადაწყვეტილება**  
**სტრასბურგი, 17 აპრილი/2014**

მომჩივანი, ქართველი ზვიად ჭაჭაშვილი, 1978 წელს დაიბადა და ცხოვრობს საქართველოში. 2008 წლის აპრილში იგი გერმანიის სასამართლომ დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებაში - არაერთგზის ჩადენილ დანაშაულებში, კერძოდ, ყაჩაღობასა და იძულების გამოყენებით განხორციელებულ გამოძალვაში, რომელიც მან სხვებთან ერთად 2006 წლის ოქტომბერში კასელსა და 2007 წლის თებერვალში გოტინგენში ჩაიდინა. მომჩივანს ცხრა წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. გოტინგენში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, გერმანიის სასამართლო დაეყრდნო ორი დაზარალებულის ჩვენებას, რომელიც მათ წინასწარი გამოძიების ეტაპზე პოლიციის დაკითხვის დროს წარადგინეს; აღნიშნული ჩვენებები საქმის განხილვის დროს წაკითხული იქნა. მათი დაკითხვის შემდეგ, მალევე, მოწმეებმა დატოვეს გერმანია და შემდგომში უარი განაცხადეს ბ-ნი ჭაჭაშვილის საქმის განხილვაზე მოწმის სახით ჩვენების მიცემაზე. ისინი აცხადებდნენ, რომ დანაშაულის გამო ტრავმირებულები იყვნენ. საბოლოოდ, 2009 წლის ოქტომბერში ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა ბ-ნი ჭაჭაშვილის საკონსტიტუციო საჩივრის განხილვაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, მომჩივანი სტრასბურგის სასამართლოს წინაშე ჩიოდა, რომ მის წინააღმდეგ სამართალწარმოება უსამართლო იყო, რადგან საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არც მას და არც მის ადვოკატს არ მიეცათ საშუალება 2007 წლის თებერვალში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ერთადერთი პირდაპირი მოწმეები დაეკითხათ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა მომჩივნის საჩივარი და დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დადგენას მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში.

62. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფით მოცემული გარანტიები არის ამ დებულების პირველ პარაგრაფში გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის სპეციფიკური ასპექტები, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასებისას. დამატებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ძირითად ამოცანას მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით

წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასება მთლიანობაში. (იხილეთ, *Taxquet v. Belgium* [GC], no. 926/05, § 84, 16 ნოემბერი 2010). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასეთი შეფასებისას აკვირდება მთლიანად სამართალწარმოებას, იმას თუ რამდენად იქნა დაცული დაცვის მხარის უფლებები, საჭიროების შემთხვევაში, მოწმეთა დაკითხვის უფლება (იხილეთ, *Doorson v. the Netherlands*, 26 March 1996, § 70, Reports of Judgments and Decisions 1996-II). და, აგრეთვე, მხედველობაში იღებს საზოგადოებისა და დაზარალებულთა ინტერესებს, დანაშაულის სათანადოდ გამოძიების თაობაზე (იხილეთ, *Gäfgen v. Germany* [GC], no. 22978/05, § 175, ECHR 2010-...). გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მტკიცებულებათა დასაშვებობა არის ეროვნული კანონმდებლობისა და ეროვნული სასამართლოების რეგულირების საგანი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთადერთ ფუნქციას წარმოადგენს იმის შეფასება, ჩატარდა თუ არა სამართალწარმოება სამართლიანად (იხილეთ *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC], nos. [26766/05](#) და [22228/06](#), § 118, ECHR 2011).

63. მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი მოიცავს პრინციპს, რომ მანამ, სანამ ბრალდებულს მსჯავრი დაედება, ყველა მტკიცებულება მის წინააღმდეგ წარმოდგენილი უნდა იყოს საჯარო განხილვაზე მისი თანდასწრებით, რათა ბრალდებულს ჰქონდეს საპირისპირო არგუმენტის წარდგენის საშუალება. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ სისხლის სამართლის პროცესზე ბრალდებულს უნდა ჰქონდეს მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულების ეფექტური გასაჩივრების შესაძლებლობა. ამ პრინციპიდან დაიშვება გამონაკლისები, თუმცა მან არ უნდა დაარღვიოს დაცვის მხარის უფლებები, რომელიც, როგორც წესი, გულისხმობს, რომ ბრალდებულმა უნდა იცოდეს არა მარტო მისი ბრალმდებლების ვინაობის შესახებ, რათა მას ჰქონდეს მათი პატიოსნებისა და სანდოობის გასაჩივრება, არამედ ბრალდებულს უნდა მიეცეს მის წინააღმდეგ არსებული მოწმისათვის კითხვების დასმისა და აცილების ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობა მაშინ, როდესაც ეს მოწმე ჩვენებას იძლევა ან სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე. (იხილეთ *Lucà v. Italy*, no. [33354/96](#), § 39, ECHR 2001-II, და *Solakov v. “the former Yugoslav Republic of Macedonia”*, no. [47023/99](#), § 57, ECHR 2001-X).

64. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარი არ ეხება მოწმეებს, რომელთა ვინაობაც გასაიდუმლოებულია ბრალდებულისგან. წინამდებარე საქმეში, შემთხვევის შედეგად დაზარალებულებმა და პირდაპირმა მოწმეებმა უარი განაცხადეს სასამართლო პროცესზე დასწრებასა და

დაკითხვაზე, შესაბამისად, ვერც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაკითხა ისინი და არც დაცვის მხარეს მიეცა მათი დაკითხვის ან დაკითხვის დროს მათი ქცევების დაკვირვების შესაძლებლობა, რათა შექმნოდათ მათი პატიოსნებისა და სანდოობის შესახებ საკუთარი შეხედულებები. მიუხედავად ამისა, წინასასამართლო ეტაპზე პოლიციის მიერ დაკითხვის დროს და ასევე გამომძიებელი მოსამართლის მიერ, საჯარო პროკურორის თანდასწრებით, აღნიშნული მოწმეებისგან მიღებული ჩვენება, წაკითხულ იქნა სასამართლო პროცესზე და რეგიონალურმა სასამართლომ ის, როგორც მტკიცებულება, დაუშვა. რაც შეეხება საგამომძიებო ეტაპზე აღნიშნული მოწმეების დაკითხვას, მომჩივნისთვის არ უცნობებიათ მის წინააღმდეგ არსებული წინასწარი სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების შესახებ და არ დანიშვნია მას ადვოკატი. შესაბამისად, დაცვის მხარეს სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ ჰქონია მოწმეებთან დაპირისპირების შესაძლებლობა.

65. რაც შეეხება სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელ მოწმეთა ჩვენებების წარდგენას, და რომელთა დაკითხვაც ბრალდებულმა ვერ შეძლო სამართალწარმოების ვერცერთ ეტაპზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში *Al-Khawaja and Tahery* (§§ 119-147) განმარტა, რომ იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა ამგვარი მტკიცებულების დაშვება სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შესაბამისი, უნდა დადგინდეს, არსებობდა თუ არა მოწმის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის სათანადო მიზეზი. მეორე, როდესაც სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელი მოწმის ჩვენება არის მსჯავრდების ერთადერთი და გადამწყვეტი საფუძველი, უნდა არსებობდეს საკმარისი საპირწონე ფაქტორები, მათ შორის ძლიერი პროცედურული გარანტიები, რომელიც აღნიშნული მტკიცებულების სანდოობის სათანადო და სამართლიანი შეფასების შესაძლებლობას იძლევა (იხილეთ *Al-Khawaja and Tahery*, §§ 119 და 147).

66. ამის შემდგომ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, *inter alia*, დაეყრდნო იმ საქმეებს, რომელიც ეხებოდა ანონიმური მოწმის ჩვენების დაშვებას, რომელთა ჩვენებები შესაძლოა ყოფილიყო გადამწყვეტი (*Ellis and Simms v. the United Kingdom* (dec.), no. [46099/06](#), § 81, 10 აპრილი 2012), ანონიმური მოწმის ჩვენებას, რომელიც იყო „სერიოზული მნიშვნელობის“ (*Pesukic v. Switzerland*, no. [25088/07](#), § 49, 6 დეკემბერი 2012) და სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელი მოწმის ჩვენებას, რომლის ჩვენება არც ერთადერთი და არც გადამწყვეტი მტკიცებულება არ ყოფილა (*Štefančič v. Slovenia*, no. [18027/05](#), § 42, 25 ოქტომბერი 2012). ყველა შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიკვლია, იყო თუ არა დაცვის გარანტიები საკმარისი, რათა დაეზღვეებინა იმ მოწმის ჩვენების

დასაშვებად ცნობა, რომელიც დაკითხული არ ყოფილა; სტრასბურგის სასამართლო, ასევე, ახორციელებდა სამართალწარმოების სამართლიანობის მთლიანობაში შემოწმებას იმისათვის, რომ განესაზღვრა, შეიზღუდა თუ არა დაცვის მხარის უფლებები იმგვარად, რომ ის მიუღებელი იყო.

67. რაც შეეხება მოწმეების ჩვენებების დასაშვებად ცნობას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დასაწყისში აღნიშნავს, რომ გოტინგენის რეგიონალური სასამართლოს გადაწყვეტილება მოწმეთა დაკითხვის გარეშე სასამართლო პროცესის გაგრძელებისა და მათი წინასასამართლო ჩვენებების დაშვების შესახებ ეყრდნობოდა არა მოწმეთა დაკითხვის სავარაუდო შიშს, არამედ ფაქტს, რომ შეუძლებელი იყო მათთვის გერმანიაში სასამართლო პროცესზე დასწრების იძულება ან ლატვიაში სასამართლოს მიერ მათი დაკითხვის ორგანიზება.

68. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმ მოწმეთა ჩვენებთან დაკავშირებით, რომელთა დაკითხვაც ბრალდებულის ან მისი ადვოკატის თანდასწრებით შეუძლებელია, არაერთხელ აღნიშნა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი მე-3 პარაგრაფთან ერთად, ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს, რომ გადადგან ქმედითი ნაბიჯები, კერძოდ, საშუალება მისცენ ბრალდებულს, რომ მან კითხვები დაუსვას მოწმეს ან განხორციელდეს ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მოწმის დაკითხვის უზრუნველყოფა. ამგვარი ღონისძიებები წარმოადგენს გულმოდგინებას, რომელიც ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა გამოავლინონ, რათა უზრუნველყონ მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებებით ეფექტურად სარგებლობა (იხილეთ: *Sadak and Others v. Turkey*, nos. [29900/96](#), [29901/96](#), [29902/96](#) და [29903/96](#), § 67, ECHR 2001-VIII; *D. v. Finland*, no. [30542/04](#), § 41, 7 ივლისი 2009; და *Gossa v. Poland*, no. [47986/99](#), § 55, 9 იანვარი 2007). თუმცა *impossibilium nulla est obligatio*; ხელისუფლების ორგანოებს არ შეიძლება ბრალად დაედოთ გულმოდგინების ნაკლებობა, თუ ისინი ბრალდებულისათვის მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის მინიჭებისათვის არ გამოავლენენ სათანადო ძალისხმევას; მოწმეთა ხელმიუწვდომლობა, როგორც ასეთი, არ ხდის სისხლისსამართლებრივი წარმოების შეწყვეტას აუცილებელს (იხილეთ, *Artner v. Austria*, 28 აგვისტო 1992, § 21, Series A no. 242-A; *Scheper v. the Netherlands* (dec.), no. [39209/02](#), 5 აპრილი 2005; *Mayali v. France*, no. [69116/01](#), § 32, 14 ივნისი 2005; და *Haas v. Germany* (dec.), no. [73047/01](#), 17 ნოემბერი 2005).

69. ამასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა

განახორციელეს რამდენიმე ღონისძიება, რათა უზრუნველყოთ მოწმეთა დაკითხვა მთავარ სასამართლო სხდომაზე. როდესაც გოტინგენის რეგიონალურ სასამართლოში სასამართლო პროცესზე მოწმეთა გამოძახების ვერცერთმა ღონისძიებამ შედეგი ვერ გამოიღო, გერმანიის შესაბამისმა ორგანოებმა მოითხოვეს სამართლებრივი დახმარება ლატვიელი კოლეგებისგან და მათ სთხოვეს, რომ მოწმეები სასამართლოს მიერ ლატვიაში ყოფილიყვნენ დაკითხულნი, ასევე, თხოვნა ეხებოდა სასამართლო პროცესის ვიდეოჩვენებით გადაცემას(ხმით და გამოსახულებით). თუმცა, ამგვარი სასამართლო პროცესი ვერ შედგა იმ საფუძველით, რომ მოწმეებმა ლატვიის სასამართლოებს სამედიცინო ცნობა წარუდგინეს, რომ ისინი ჯერ კიდევ განიცდიდნენ დანაშაულის შედეგად მიღებულ პოსტ-ტრავმულ აშლილობას, და გარდა ამისა, რომ მათ ბრალდებულის მხრიდან შესაძლო შურისძიების ეშინოდათ. ამას მოჰყვა გერმანიის რეგიონალური სასამართლოს პროტესტი, რომელშიც მითითებული იყო, რომ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სტანდარტების მიხედვით, მოწმეთა მიერ წამოყენებული საფუძველები არ იყო საკმარისად დასაბუთებული. ამ საფუძველებით არ შეიძლებოდა სასამართლოს გაემართლებინა მათ მიერ დაკითხვაზე უარი. გერმანიის რეგიონალურმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ლატვიის სასამართლოებს შეიძლება ემსჯელათ მოწმეთა იძულების შესახებ, რომ ისინი დასწრებოდნენ ზეპირ განხილვას. ეს საკითხი დარჩა უპასუხოდ. ამის გამო რეგიონალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ის არ ფლობდა სხვა სამართლებრივ საშუალებას, რომ უზრუნველყო მოწმეთა ზეპირ განხილვაზე დასწრება. გარდა ამისა, ახლახანს განახლებული სამედიცინო ცნობები მიუთითებდა, რომ მოწმეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ შეიცვლებოდა უახლოეს პერიოდში, შესაბამისად, შეუძლებელი იყო მათი დაკითხვა ახლო მომავალში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოწმეთა მიერ დაკითხვაზე მტკიცე უარის გათვალისწინებით, არ არსებობდა რაიმე საფუძველი რათა მიჩნეულიყო, რომ გერმანიის ხელისუფლებას შეიძლება ჰქონოდა დამატებითი ეფექტური საშუალებები, რომლის მეშვეობითაც მთავარ სასამართლო სხდომაზე უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის მხარისა და მოწმეების შეპირისპირება. პირიქით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იზიარებს მთავრობის შეხედულებას, რომ რეგიონალურმა სასამართლომ მოწმეთა სასამართლო პროცესზე დაკითხვის უზრუნველსაყოფად გადადგა გონივრული ნაბიჯები და რომ ის, რომ ამ კუთხით განხორციელებული ყველა ქმედება აღმოჩნდა უშედეგო, არ მიეწერება გერმანიის სახელისუფლებო ორგანოებს.

70. მაშინ, როდესაც დაცვის მხარისთვის აშკარად უპირატესი იყო მოწმეებთან პირდაპირ დაპირისპირება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოების მიმართ, არსებობდა მოლოდინი, რომ დააზუსტებდნენ საქმის გარემოებებს, სტრასბურგის სასამართლო ასევე, აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების ინტერესი აშკარად მოითხოვდა მოწმეთა ჩვენებების დასაშვებად ცნობას. მოწმეთა სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობას არ შეეძლო ბრალდების მხარის დაბრკოლება, რადგან მათ მიერ მიცემული ჩვენებები სამართალწარმოების მიმდინარეობისას მოპოვებული სხვა მტკიცებულებებით დასტურდებოდა. (შეადარეთ *Asch v. Austria*, 26 აპრილი 1991, § 28, Series A no. 203; *Artner*, , § 22; and *Gossa*, § 61).

71. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შემდგომში შენიშნავს, რომ როდესაც პოლიციისა და გამომძიებელი მოსამართლის მიერ მოწმეთათვის ჩამორთმეული ჩვენებების სასამართლო პროცესზე წაკითხვის თაობაზე ბრძანებას გასცემდა, რეგიონალურმა სასამართლომ მითითება გააკეთა საკუთარ ვალდებულებაზე, სწრაფად განეხორციელებინა თავისუფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებული სამართალწარმოება. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არსებულ დროს ბრალდებული უკვე დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა საპატიმროში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ეროვნული სასამართლოს მსჯელობა, რომ სამართალწარმოების გაჭიანურება აღარ იყო გამართლებული, მნიშვნელოვანი გახლდათ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისათვის, რომლის მიხედვითაც სასამართლო პროცესზე დაუკითხავი მოწმეების ჩვენებები დასაშვებად იქნა ცნობილი.

72. რაც შეეხება იმას, იყო თუ არა მოწმეთა ჩვენებები ერთადერთი და გადაწყვეტი საფუძველი მომჩივნის მსჯავრდებისათვის, ადამიანის უფლებათა სასამართლო ეთანხმება მთავრობის პოზიციას, რომ მოწმეთა წინასასამართლო განცხადებები არ ყოფილა გერმანიის რეგიონალურ სასამართლოში წარდგენილი ერთადერთი მტკიცებულება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა სასამართლო პროცესზე სხვა მოწმეთა ჩვენებებზე, ისეთი, როგორცაა აღნიშნული მოწმეების მეზობლისა და მათი მეგობრის ჩვენებები, ასევე მომჩივნისა და მისი თანამონაწილის მობილური ტელეფონებიდან სატელეფონო მოსმენებისა და GPS-ის საშუალებით მიღებული მონაცემების ანალიზზე.

73. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ როდესაც მოწმის შეუმოწმებელი ჩვენება სხვა დამადასტურებელი მტკიცებულებით არის

განმტკიცებული, იმის შეფასება, არის თუ არა მოწმის ჩვენება გადამწყვეტი, დამოკიდებულია განმამტკიცებელი ჩვენების სიძლიერით; რაც უფრო ძლიერია დამადასტურებელი მტკიცებულება, უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელი მოწმის ჩვენება იქნება გადამწყვეტი (see *Al-Khawaja and Tahery*, cited above, § 131). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ფედერალურმა პროკურორმა თავის მოსაზრებებში სააპელაციო სამართალწარმოების დროს, რომელიც დამტკიცდა იუსტიციის ფედერალური სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, აცხადებდა, რომ რეგიონალური სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული მნიშვნელოვანი დამატებითი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ო.-სა და პ.-ს ჩვენებები არ შეიძლებოდა ყოფილიყო მომჩივნის მსჯავრდების გადამწყვეტი საფუძველი. ამავე დროს, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ყაჩაღობასთან დაკავშირებით, ო. და პ. იყვნენ ერთადერთი პირდაპირი მოწმეები და მათ მიერ დანაშაულის აღწერის დამადასტურებელი მტკიცებულება იყო ირიბი ჩვენება. რაც შეეხება მომჩივნისა და მისი თანაბრალდებულის განცხადებებს სასამართლო პროცესზე, რომ ისინი, ორივე იმყოფებოდნენ დაზარალებულის საცხოვრებელ ადგილას ინციდენტის დროს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შენიშნავს, რომ აღნიშნული იყო საუკეთესო ირიბი განმამტკიცებელი ჩვენება იმ ბრალდებისათვის, რომ ისინი თავს დაესხნენ ო.-სა და პ.-ს.

74. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ მოწმეთა ჩვენებები შეიძლება არ ყოფილიყო მომჩივნის მსჯავრდების ერთადერთი ან გადამწყვეტი საფუძველი, მათ ჩვენებებს აშკარად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომჩივნის ბრალის დადგენაში. შესაბამისად, ევროპული სასამართლო თვლის, რომ უნდა შეფასდეს, არსებობდა თუ არა ადეკვატური საპირწონე ფაქტორები და დაცვის გარანტიები, (იხილეთ *Pesukic v. Switzerland*, § 50) რათა უზრუნველყოფილიყო, რომ მოწმეთა წინასასამართლო ჩვენებების დასაშვებად ცნობით, მომჩივნის არახელსაყრელი მდგომარეობა არ შეზღუდავდა დაცვის მხარის უფლებებს იმ ფარგლებში, რომელიც შეუსაბამო იქნებოდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნტის მოთხოვნებთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მსგავსი მოსაზრებებია ასახული რეგიონალური სასამართლის გადაწყვეტილებაში, რომლის მიხედვითაც, არც ბრალდებულს და არც მის ადვოკატს არ მიეცათ ბრალდებულის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი მოწმეების დაკითხვის შესაძლებლობა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოეთხოვებოდა გამოევიწყინა ფრთხილი



დამოკიდებულება გამოძიების ეტაპზე ამ პირთა მიერ გაკეთებული ჩვენებების შეფასებასთან დაკავშირებით; პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაფუძნება ასეთ ჩვენებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ ის დადასტურებული იქნებოდა სხვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებით.

75. ამასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომელიც ბრალდების მხარეს აძლევს შესაძლებლობას, წინასასამართლო ეტაპზე მიიღონ იმ მოწმეებისაგან ჩვენებები, რომელთა დაკითხვა სასამართლო პროცესზე სავარაუდოდ ვერ მოხერხდება. ამავე დროს, შიდასახელმწიფოებრივი სამართალი შეიცავს პროცედურულ გარანტიებს, რომელიც გაწერილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168c მუხლში, რათა დაცვის მხარეს მიეცეს საგამოძიებო ეტაპზე ბრალდების მხარისათვის უმნიშვნელოვანესი მოწმეების დაკითხვაში მონაწილეობის შესაძლებლობა. ამ კონტექსტში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეთანხმება მთავრობის არგუმენტს, რომ შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ დანაშაულის ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულებისა და დაზარალებულისა და მოწმეთა დაცვის საჭიროების მხედველობაში მიღებით, გამომძიებელი მოსამართლის გადაწყვეტილება, რომ არ ეცნობებინა მომჩივნისათვის წინასასამართლო ეტაპზე მოწმეთა დაკითხვის შესახებ, იყო გამართლებული. ჩადენილი დანაშაულის ძალადობრივი ბუნების გათვალისწინებით, მოსამართლის მოსაზრება, რომ მოწმეთა დაკითხვის თაობაზე ეჭვიტანილებისა და მათი ადვოკატების ინფორმირების შემდეგ, ეჭვიტანილებს შესაძლოა ზეწოლა მოეხდინათ მოწმეებზე და, შესაბამისად, საფრთხე შექმნოდა მიმდინარე გამოძიებას, არ იყო უსაფუძვლო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შემდგომში ყურადღებას ამახვილებს მთავრობის პოზიციაზე, რომ გამომძიებელ მოსამართლესთან გასაუბრების დროს, შიდასახელმწიფოებრივი ორგანოებისათვის პროგნოზირებადი არ იყო, მოწმეები, რომლებმაც უკვე მისცეს ჩვენება საგამოძიებო ორგანოებს ამ შემთხვევაში, შემდგომ სასამართლო პროცესზე დასწრებაზე უარს იტყოდნენ ან არ დაეთანხმებოდნენ, რომ, აუდიო-ვიზუალური საშუალების მეშვეობით ყოფილიყვნენ დაკითხულნი, ლატვიაში. ამასთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მოწმეებს ამ შემთხვევაში არ გააჩნდათ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომლის თანახმადაც, მაგალითად, ბრალდებულის ოჯახის წევრები თავისუფლდებოდნენ სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისაგან (იხილეთ, *a contrario, Hümmel v. Germany*, no. [26171/07](#), §§ 41 და 43, 19 ივლისი 2012). ადამიანის უფლებათა



ევროპული სასამართლო, შესაბამისად, ადგენს, რომ არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა არ დაიცვან შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურული გარანტიები, რომელიც უზრუნველყოფილია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებების ეფექტურად სარგებლობისას.

76. ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას რეგიონალურმა სასამართლომ აღნიშნა ო.-სა და პ.-ს წინასასამართლო დაკითხვისას გაცხადებული ჩვენებების მტკიცებულებითი ღირებულების შემცირება და, ამის შედეგად, საფუძველიანად განიხილა ისინი. განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა მოწმეთა სანდოობისა და მათ ჩვენებაში რაიმე შესაძლო წინააღმდეგობების დადგენაზე. რაც შეეხება სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მოწმეებს, რეგიონალურმა სასამართლომ მკაფიოდ განმარტა, რომ მათ მიერ მიცემული ჩვენებები წარმოადგენდა ირიბ ჩვენებებს და მათი შეფასება განსაკუთრებული ყურადღებით უნდა განხორციელებულიყო.

77. ო.-სა და პ.-ს ჩვენებებთან დაკავშირებით რეგიონალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვისას მოპოვებული ჩანაწერები მიუთითებდა, რომ მათ დანაშაულის გარემოებების შესახებ დეტალური და თანმიმდევრული აღწერა წარადგინეს და რომ მცირე წინააღმდეგობები ექვემდებარება ახსნას. ევროპული სასამართლო ეთანხმება რეგიონალურ სასამართლოს, ის ფაქტი, რომ ო.-სა და პ.-ს მიერ მოვლენების შესახებ მათი მეგობრისთვის, ლ.-ისთვის, და მეზობლისთვის, ე.-სთვის, მოყოლილი ემთხვეოდა წინასასამართლო ეტაპზე მათ მიერ მიცემულ დეტალურ აღწერილობას, მიუთითებდა მათი ჩვენების სანდოობასა და სიზუსტეზე. გარდა ამისა, ე.-მ მისცა ჩვენება, რომ დანაშაულის ჩადენის საღამოს მას სხვა მეზობელი ეწვია, რომელმაც განაცხადა, რომ ო.-სა და პ.-ს სახლიდან გამომავალი ხმაური ესმოდა, რაც წარმოადგენდა დამატებით დამადასტურებელ ელემენტს, რომელიც მომდინარეობდა არა დაზარალებული მხარისაგან, არამედ დამოუკიდებელი წყაროსგან. რეგიონალურმა სასამართლომ, ასევე, მიიჩნია, რომ შემდგომში სასამართლო პროცესზე დაკითხული მოწმეების ჩვენებები, ისევე, როგორც გამოძიების ეტაპზე ო.-სა და პ.-საგან მოპოვებული ჩვენებები, დადასტურებული იქნა მონაცემებით, რომელიც მომჩივნისა და მისი თანაბრალდებულის მობილური ტელეფონების და GPS-ის მოსმენის შედეგად მოიპოვეს. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ რეგიონალური სასამართლოს მიერ გაზიარებული არგუმენტები მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული სასამართლოს მიერ მიღებული დასკვნისათვის, რომ ო.-სა და პ.-ს

წინასასამართლო ჩვენებები სანდო და თანმიმდევრული იყო (იხილეთ *De Lorenzo v. Italy* (dec.), ნომ. 69264/01, 2004 წლის 12 თებერვალი). გარემოებების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას გამოყენებულ იქნა საჭირო გულისხმიერება და ადგენს, რომ რეგიონალურ სასამართლოს შეეძლო სანდოობის სამართლიანად და სათანადოდ შეფასება.

78. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იზიარებს მთავრობისა და ეროვნული სასამართლოების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ წინამდებარე საქმეზე არსებული მტკიცებულებები, მთლიანობაში აღებული, ქმნიდა მოვლენების შესახებ საერთო სურათს, რაც ადასტურებდა მოწმეების მიერ გაჟღერებულ ვერსიას და უარყოფდა მომჩივნისა და მისი თანაბრალდებულის მიერ სამართალწარმოების მიმდინარეობისას მიცემულ წინააღმდეგობრივ ჩვენებებს. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომ კასელსა და გოტინგენში ჩადენილი დანაშაულების ხერხების მსგავსება და ორ დანაშაულს შორის არსებული კავშირი, მიუთითებდა, რომ მომჩივანმა იცოდა დანაშაულის ჩადენის შესახებ.

79. სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება მიაპყრო, რომ ო.-მ და პ.-მ, როდესაც მათ პოლიციაში დაკითხვის დროს პოტენციურ ეჭვმიტანილთა ფოტოები წარუდგინეს, ვერ მოახერხეს მომჩივნის, როგორც დამნაშავის, იდენტიფიცირება და რომ მომჩივანს, ო.-სა და პ.-სთან დაპირისპირების მეშვეობით, იმის დამტკიცება სურდა, რომ დანაშაულის ადგილზე იგი საერთოდ არ იმყოფებოდა. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანმა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ძარცვაში მონაწილეობის უარყოფისას, თავად დაადასტურა, რომ ინციდენტის დროს იგი დაზარალებულის სახლში იმყოფებოდა და რომ იგი დაედევნა პ.-ს, რომელიც აივნისგან გაიქცა. ამდენად, დაცვის მხარის მოწმეთა დაკითხვა ვეღარ მოემსახურებოდა თავდაპირველ მიზანს, რომლის მიღწევაც სურდა მომჩივანს. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ მხედველობაში მიიღო მთავრობის არგუმენტები, რომ მომჩივანს არ მიუთითებია თუ რისი მიღწევა სურდა მას ო.-სა და პ.-სთან პ.-სთან შეპირისპირებით და არ ისარგებლა მათი ჩვენებების სიზუსტის თაობაზე ეჭვის გამოთქმის შესაძლებლობით, როდესაც გამოძიების ეტაპზე მათი დაკითხვის ჩანაწერები სასამართლო პროცესზე წაიკითხეს. ამ კონტექსტში ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნისათვის ცნობილი იყო ო.-სა და პ.-ს ვინაობა და რომ, შესაბამისად, სურვილის არსებობის შემთხვევაში მას შეეძლო მათი სანდოობის გაპროტესტება და მათ ჩვენებებში არსებული

არათანმიმდევრულობისა ან სასამართლო პროცესზე დაკითხული სხვა მოწმეების ჩვენებებში არსებულ შეუსაბამობების თაობაზე მითითების გაკეთება. გარდა ამისა, მომჩივანს, ვის ინტერესებსაც მთელი სამართალწარმოების განმავლობაში ადვოკატი იცავდა, შეეძლო მოვლენების შესახებ საკუთარი ვერსიის წარმოდგენა და სამართალწარმოების მიმდინარეობისას მოპოვებული დამატებითი მტკიცებულებების სანდოობის ეჭვქვეშ დაყენება.

80. ამ გარემოების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის არგუმენტების საპირისპიროდ, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი ესწრებოდა მოწმეთა წინასასამართლო დაკითხვას და სწორედ მან გასცა მათი დაკითხვის ნებართვა, არ არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტში განმტკიცებულ მხარეთა თანასწორობის პრინციპს. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ბრალმდებლების ვალდებულებაა განახორციელონ ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება და განიხილონ, როგორც დანაშაულში მამხილებელი, აგრეთვე, გამამართლებელი გარემოებები. სტრასბურგის სასამართლო მიუთითებს, რომ ეროვნული კანონმდებლობა სასამართლოებისაგან მოითხოვს გააფართოვონ ფაქტებთან დაკავშირებული მტკიცებულებების და შესაბამისი მტკიცების საშუალებების მიღება, საქმეზე ჭეშმარიტებისა და გარემოებების დადგენის მიზნით. (იხილეთ *Sievert v. Germany*, ნომ. [29881/07](#), § 59, 2012 წლის 19 ივლისი). არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ პროკურორებმა ან გოტინგენის რეგიონალურმა სასამართლომ მომჩივნის საქმის განხილვისას არ დაიცვეს აღნიშნული მოთხოვნები.

81. მთლიანობაში სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასებისას, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ არსებობდა საკმარისი საპირწონე ფაქტორები, რომელიც დაცვის მხარეს აუნაზღაურებდა ო.-სა და პ.-ს ჩვენებების დასაშვებად ცნობით განპირობებულ სირთულეებს. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტთან ერთად.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებს შორის სასამართლო დიალოგის დასასრული ირიბი ჩვენების გამოყენების თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში „ჰორნქასლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (საჩივრის ნომ. 4184/10) ერთხმად

დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევას (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და მოწმეთა სასამართლო პროცესზე დასწრებისა და დაკითხვის უფლება). საქმე ეხებოდა ოთხი მომჩივნის საჩივარს, რომლებიც დაობდნენ, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვის დროს მომჩივნების წინააღმდეგ მტკიცებულების სახით დაზარალებულთა წერილობითი განცხადების დაშვება, არღვევდა მათ უფლებას, დაეკითხათ მოწმე, რომელიც მათ წინააღმდეგ ერთადერთ და გადამწყვეტ მტკიცებულებას წარმოადგენდა.

ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა „ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (საჩივრის ნომ. 26766/05 და 22228/06) საქმეში დიდი პალატის მიერ დადგენილი პრინციპები, სადაც მან განაცხადა, რომ მსჯავრდების დაფუძნება ირიბი მოწმის ჩვენებაზე ავტომატურად არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფს. როდესაც ირიბი მტკიცებულება ერთადერთი და გადამწყვეტი მტკიცებულებაა, უნდა დადგინდეს არსებობს თუ არა ადეკვატური საპირწონე ფაქტორები, მათ შორის პროცედურული გარანტიები, რათა მოხდეს დაცვის მხარისათვის წარმოშობილი სირთულეების კომპენსირება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში „ჰორნქასლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (საჩივრის ნომ. 4184/10) ერთხმად დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევას (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და მოწმეთა სასამართლო პროცესზე დასწრებისა და დაკითხვის უფლება). საქმე ეხებოდა ოთხი მომჩივნის საჩივარს, რომლებიც დაობდნენ, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვის დროს მომჩივნების წინააღმდეგ მტკიცებულების სახით დაზარალებულთა წერილობითი განცხადების დაშვება, არღვევდა მათ უფლებას, დაეკითხათ მოწმე, რომელიც მათ წინააღმდეგ ერთადერთ და გადამწყვეტ მტკიცებულებას წარმოადგენდა. ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა „ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (საჩივრის ნომ. 26766/05 და 22228/06) საქმეში დიდი პალატის მიერ დადგენილი პრინციპები, სადაც მან განაცხადა, რომ მსჯავრდების დაფუძნება ირიბი მოწმის ჩვენებაზე ავტომატურად არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფს. როდესაც ირიბი მტკიცებულება ერთადერთი და გადამწყვეტი მტკიცებულებაა, უნდა დადგინდეს არსებობს თუ არა ადეკვატური საპირწონე ფაქტორები, მათ შორის

პროცედურული გარანტიები, რათა მოხდეს დაცვის მხარისათვის წარმოშობილი სირთულეების კომპენსირება. საქმეში „მაიკლ ქრისტოფერ ჰორნქასლი, დევიდ ლი ბლექმორი, აბიაჰ მარქესი და ჯოზეფ დევიდ გრეჰემი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პირველ ორ მომჩივანთან მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თუნდაც მიჩნეული ყოფილიყო, რომ დაზარალებულის წერილობითი ჩვენება „გადამწყვეტი“ იყო, მიუხედავად ამისა ეროვნულ კანონმდებლობაში მათი სამართლიანი სასამართლოს უფლების დასაცავად არსებობდა საკმარისი გარანტიები. რაც შეეხება დანარჩენ ორ მომჩივანს, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ჩვენება არ იყო არც ერთადერთი და არც გადამწყვეტი მათი მსჯავრდებისათვის და, შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა დაცვის უფლებების დარღვევას. ეს გადაწყვეტილება აჯამებს სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებულ სასამართლო დიალოგს, რომელიც ევროპული სასამართლოს მიერ ალ-ხავაჯა და ტაჰერის საქმეში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ დაიწყო. წინამდებარე მომჩივნის საჩივრის განხილვისას უზენაესმა სასამართლომ შეისწავლა ზემოთხსენებული გადაწყვეტილება და დიდ პალატას მოუწოდა, რომ ხელახლა განეხილა საქმე. ალ-ხავაჯა და ტაჰერის საქმეზე დიდი პალატის შემდგომი გადაწყვეტილება ეთანხმებოდა უზენაეს სასამართლოს, რომ ერთადერთ და გადამწყვეტ მტკიცებულებასთან დაკავშირებული წესი არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული მკაცრი და მოუქნელი გზით.

## ძირითადი ფაქტები

მომჩივნები, მაიკლ ქრისტოფერ ჰორნქასლი, დევიდ ლი ბლექმორი, აბიაჰ მარქესი და ჯოზეფ დევიდ გრეჰემი (Michael Christopher Horncastle, David Lee Blackmore, Abijah Marquis, Joseph David Graham.), 1980, 1981, 1978 და 1981 წელს დაბადებული ბრიტანეთის მოქალაქეები გახლდნენ. ისინი ამჟამად პატიმრობაში იმყოფებიან.

2007 წლის ნოემბერში ნაფიც მსაჯულთა ერთხმად მიღებული ვერდიქტით ბ-ნი ჰორნქასლი და ბ-ნი ბლექმორი მსჯავრდებულად ცნეს სხეულისთვის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენებისათვის. დაზარალებულმა პოლიციას მისცა წერილობითი ჩვენება. მან ამოიციო თავისი თავდამსხმელები. დაზარალებული გარდაიცვალა სასამართლო პროცესის დაწყებამდე ავადმყოფობით, რომელიც დაკავშირებული არ იყო ამ შემთხვევასთან. ჩვენება სასამართლო პროცესზე დაუშვეს მომჩივანთა წინააღმდეგ მტკიცებულებად.

2008 წლის 12 მაისს ბ-ნი მარკი და ბ-ნი გრეჰემი მსჯავრდებულად ცნეს ქალბატონის საკუთარი სახლიდან გატაცების გამო. გატაცების დროს, ისინი მას ემუქრებოდნენ ზიანის მიყენებით. დაზარალებულმა და თავისმა მეუღლემ თავდაპირველად პოლიციას მისცეს წერილობითი ჩვენებები, თუმცა მოგვიანებით უარი განაცხადეს სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოსვლაზე, რადგან მათ ემინოდათ, რომ მათ ოჯახებს საფრთხე შეექმნებოდათ. დაზარალებულის ჩვენება მიღებულ იქნა მომჩივანთა წინააღმდეგ მტკიცებულებად, მაგრამ მოსამართლემ უარი თქვა მისი მეუღლის ჩვენების მტკიცებულებად დაშვებაზე.

მომჩივნებმა გაასაჩივრეს მათი მსჯავრდებები სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ ისინი არ დაკმაყოფილდა 2009 წლის მაისში. შემდგომ მათ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც ასევე არ დაკმაყოფილა მათი მოთხოვნა 2009 წლის დეკემბერში.

### **საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შემადგენლობა**

მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფსა და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და მოწმეთა სასამართლო პროცესზე დასწრებისა და დაკითხვის უფლება) მომჩივნები დაობდნენ, რომ დაზარალებულთა წერილობითი ჩვენებების სასამართლო პროცესზე დაშვებით ეროვნულმა სასამართლოებმა დაარღვიეს მათი უფლება, დაეკითხათ მოწმეები, რომლებმაც მისცეს მათ წინააღმდეგ ერთადერთი ან გადამწყვეტი ჩვენება.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეიტანეს 2010 წლის 7 იანვარს.

### **სასამართლოს გადაწყვეტილება**

სასამართლომ აღნიშნა, რომ ის თანმიმდევრულად უსვამდა ხაზს, რომ მტკიცებულების დასაშვებობა უპირველესად იყო ეროვნული კანონმდებლობისა და სასასამართლოების რეგულირების საგანი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამოცანას წარმოადგენდა იმის შეფასება, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანად სამართლიანი. მან გაიმეორა რომ მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი მოიცავდა პრინციპს, რომ ბრალდებულის წინააღმდეგ ყველა მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ბრალდებულის თანდასწრებით საჯარო განხილვაზე, რათა არსებობდეს გასაჩივრების შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (№

26766/05, 22228/06) ამ პრინციპის მიხედვით დადგინდა ორი მოთხოვნა. პირველ რიგში, უნდა არსებობდეს მოწმის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის სათანადო მიზეზი. მეორე რიგში, როდესაც მსჯავრდება მართოდენ ან გადამწყვეტად დაფუძნებულია სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელი მოწმის ჩვენებაზე, შეიძლება აღნიშნული შესაბამისი იყოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან, თუ არსებობს საკმარისი საპირწონე ფაქტორები, მათ შორის ძლიერი პროცედურული გარანტიები, რათა მოხდეს მტკიცებულების სამართლიანი და სათანადო შეფასება.

მომჩივნებს არ გაუსაჩივრებიათ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელი მოწმის ჩვენების დაშვებას, ვინაიდან დაეთანხმნენ, რომ არსებობდა ძლიერი გარანტიები, რომელიც მიზნად ისახავდა გაერთიანებულ სამეფოში სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობის უზრუნველყოფას. მათ ეჭვი შეიტანეს, თუ რამდენად სათანადოდ გამოიყენეს ეს მექანიზმები მათ საქმეებში მიღებულ გადაწყვეტილებებში.

როგორც ახსნილი იყო ალ-ხავაჯა და ტაჰერის საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი დასმული კითხვები თითოეულ საქმეში იყო: არსებობდა თუ არა მოწმეთა გამოუცხადებლობის სათანადო მიზეზი; იყო თუ არა მოწმეთა ჩვენებები „ერთადერთი ან გადამწყვეტი“; და თუ ასე იყო, მიუხედავად ამისა, არსებობდა თუ არა ადეკვატური საპირწონე ზომები.

### **ბ-ნი ჰორქასლი და ბ-ნი ბლექმორი**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაეთანხმა, რომ მსხვერპლის სიკვდილმა აუცილებელი გახადა მისი ჩვენების დაშვება სასამართლო პროცესზე, თუ აუცილებელი იყო მისი ჩვენების განხილვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იმის გადაწყვეტისას, იყო თუ არა მსხვერპლის ჩვენება გადამწყვეტი მომჩივანთა მსჯავრდებისათვის, უპირველეს ყოვლისა აფასებს ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე აცხადებდა, რომ ბრალდების მხარე მთლიანად ეფუძნებოდა დაზარალებულის ჩვენებას, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მომჩივანთა მსჯავრდებები „გადამწყვეტი ხარისხით“ ეფუძნებოდა დაზარალებულის ჩვენებას. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანთა აღიარება, რომ ისინი იყვნენ დაზარალებულის სახლში იმ ღამეს, როდესაც დაზარალებულზე

მოხდა თავდასხმა, იყო იმგვარი, რომ თავად დაზარალებულის ჩვენება არ იყო გადამწყვეტი იმ კუთხით, რომ მას განესაზღვრა საქმის შედეგი.

თუმცა, თუნდაც იმის ვარაუდისას, რომ ჩვენება იყო „გადამწყვეტი“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დარწმუნდა, რომ არსებობდა საკმარისი საპირწონე ფაქტორები, რომ მომხდარიყო ჩვენების სასამართლო პროცესზე დაშვებით გამოწვეული ნებისმიერი სირთულის კომპენსირება, მათ შორის საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც არეგულირებდა იმ გარემოებებს, რომელშიც ირიბი ჩვენება უნდა ყოფილიყო დასაშვები და, ასევე, მომჩივანთა მიერ ჩვენების სასამართლო პროცესზე დაშვების გასაჩივრების შესაძლებლობა. ეროვნული კანონმდებლობის გარანტიები სათანადოდ იქნა გამოყენებული სასამართლო პროცესის განმხილველი მოსამართლის მიერ. ბრალდების მხარის სხვა მტკიცებულებათა სიძლიერემ და სასამართლოს განხილველი მოსამართლის მიერ მიცემულმა ფრთხილმა მიმართულებებმა, ნაფიც მსაჯულებს მისცა შესაძლებლობა, მომხდარიყო დაზარალებულის ჩვენების სანდოობის სამართლიანად და სათანადოდ შეფასება. შესაბამისად, არ დარღვეულა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი ბ-ნ ჰორქასლსა და ბ-ნ ბლექმორთან მიმართებაში.

### **ბ-ნი მარკი და ბ-ნი გრეჰემი**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დარწმუნდა, რომ არსებობდა სათანასო მიზეზი, თუ რატომ არ დაესწრო დაზარალებული სასამართლო განხილვას ჩვენების მისაცემად. პროცესის განმხილველმა მოსამართლემ სათანადოდ გამოიკვლია დაზარალებულის შიშის ბუნება, ფარგლები და საფუძვლები. მისი მოტაცების დროს განხორციელებული მუქარებმა, და ფაქტმა, რომ მას ჩვენების მიცემას ერჩივნა რომ იგი დაეპატიმრებინათ, დაარწმუნა მოსამართლე, რომ დაზარალებული იყო „გაქვავებული, ნამდვილად გასაჭირში“. ყველა ხელმისაწვდომი ზომა იქნა მიღებული, რათა მისი დასწრება უზრუნველყოფილიყო. პროცესის განმხილველი მოსამართლის უარი დაზარალებულის მეუღლის წერილობითი ჩვენების დაშვების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ იგი არ დარწმუნებულა, რომ მეუღლის გამოუცხადებლობა სასამართლო განხილვაზე გამოწვეული იყო შიშით, აჩვენებდა მოსამართლის სიფრთხილესა და გულმოდგინებაზე, როგორც მიდგომაც ჰქონდა მას აღნიშნულ საქმესთან.

ჩვენების ერთადერთი ან გადამწყვეტი ბუნების შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაიწყო ეროვნული სასამართლოების მიერ მტკიცებულებების შეფასებით. საყურადღებოა, რომ სააპელაციო სასამართლომ



დაზარალებულის ჩვენება არ მიიჩნია გადამწყვეტად. მეორე მხრივ, ხელმისაწვდომი იყო დამოუკიდებელი მტკიცებულება, მათ შორის მოტაცების დროს მსხვერპლის სახლის გარეთ ბ-ნი გრეჰემის ყოფნის ამსახველი კადრები, უდავო სატელეფონო ჩანაწერი, რომელიც აჩვენებდა ბ-ნი მარკის ტელეფონიდან დაზარალებულის მეუღლის ტელეფონზე განხორციელებულ ზარებს მოტაცების ღამეს და მტკიცებულება, რომ მომჩივნები დაბინავდნენ სასტუმროში მოტაცების ღამეს იმ მანქანით, რომელიც მათ მოპარეს დაზარალებულს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შესაბამისად დაადგინა, რომ დაზარალებულის ჩვენება არ იყო მომჩივანთა მსჯავრდების ერთადერთი ან გადამწყვეტი საფუძველი. შესაბამისად, აუცილებელი არ იყო იმის შეფასება, არსებობდა თუ არა საკმარისი საპირწონე ფაქტორები.

შესაბამისად, არ დარღვეულა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი ბ-ნ მარკსა და ბ-ნ გრეჰემთან მიმართებაში.

### **ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები - ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა**

საერთო სამართლისა და კონტიტენტური სამართლის ქვეყნების, სისხლის საპროცესო სამართალში ირიბი ჩვენების დასაშვებობის წესები და პრინციპები ერთმანეთისგან განსხვავებულია, რამდენადაც განსხვავდება სისტემები. ამავდროულად კონტინენტური ევროპის ზოგ ქვეყანაში დადგენილია ირიბი ჩვენების დასაშვებობის მინიმალური პრინციპები (ესპანეთი, იტალია). ესტონეთში ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები კონკრეტიზირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. საერთო სამართლის ქვეყნებში ეს კონკრეტიზაცია ხდება სასამართლო პრაქტიკით, თუმცა განსხვავებულია პოზიცია კანადაში, სადაც ირიბი ჩვენების დაშვების წესი ზოგადია და სასამართლოს ეძლევა საშუალება ზოგადი პრინციპების საფუძველზე მოახდინოს ამა თუ იმ ჩვენების მტკიცებულებად დაშვება. ამერიკის ფედერალური წესებში, განსხვავებით სხვა საერთო სამართლის ქვეყნებისა, ირიბი ჩვენების წინააღმდეგ წესის გამონაკლისების ძალიან ფართო ჩამონათვალი არსებობს.

ზოგ ქვეყანაში, სადაც სამართალწარმოება დაფუძნებულია ინკვიზიციურ პრინციპებზე (მაგ. საფრანგეთი, ბელგია, გერმანია) ირიბი ჩვენება დასაშვებია და

მოსამართლე წყვეტს ასეთი ჩვენების ღირებულებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ირიბ ჩვენებას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით არ შეიძლება განაჩენი დაეფუძვნოს მხოლოდ ირიბ ჩვენებას(ებს).

### ესპანეთი

ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 710-ე მუხლის მიხედვით ირიბი ჩვენება დასაშვებია. რადგანაც საპროცესო კოდექსის ასეთი ჩანაწერი განსხვავდება მტკიცებითი სამართლის ზოგადი წესებიდან, ესპანურმა სასამართლო პრაქტიკამ დაადგინა ირიბი ჩვენების დაშვების წესები, კერძოდ, ირიბ ჩვენებას მტკიცებითი ღირებულება ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკურად შეუძლებელია პირის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.<sup>3</sup>

### იტალია

იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის 1-3 ნაწილების მიხედვით, ირიბი ჩვენების არსებობის შემთხვევაში მოსამართლემ, მხარის შუამდგომლობის ან საკუთარი ნების საფუძველზე უნდა დაიბაროს პირდაპირი მოწმე სასამართლოში. ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი მოწმე გარდაიცვალა, აქვს ფსიქიური პრობლემები ან თუ მისი მოძებნა შეუძლებელია.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, კრიმინალური პოლიციის ოფიცრებს არ აქვთ უფლება წარადგინონ ჩვენება მოწმეთა დაკითხვის საფუძველზე რომელიც განხორციელდა ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით.

### ესტონეთი

ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ირიბი ჩვენება დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა:

---

<sup>3</sup> SSTC 217/1989, 21 დეკემბერი; ასევე, 131/1997, 15 ივლისი.

## ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

### § 66. მოწმე

(1) მოწმის ჩვენება, იმგვარ ფაქტებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია მტკიცების საგანთან, რომელიც მოწმემ სხვა პირისაგან შეიტყო, არ უნდა გახდეს მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა თუ:

1) მტკიცებულების პირდაპირი წყაროს დაკითხვა შეუძლებელია კოდექსის 291 (1) ქვეპარაგრაფში მოყვანილ მიზეზთა გამო;

2) მოწმის ჩვენების შინაარსი არის ის რაც მან მოისმინა სხვა პირისაგან, იმ გარემოებების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ იყო აღქმული მის მიერ, საუბრის განმავლობაში, ჯერ კიდევ იმის ზეგავლენის ქვეშ რაც მას გაანდეს და თუკი არ არის რწმენის საფუძველი, რომ ის ამახინჯებს სიმართლეს;

3) მოწმის ჩვენების შინაარსი არის ის, რაც მან მოისმინა სხვა პირისაგან და რომელიც შეიცავს დაშვებას სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენის შესახებ ან რომელიც არის ინტერესთა კონფლიქტში თანამოსაუბრესთან;

4) მოწმის ჩვენების შინაარსი შეიცავს გარემოებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულთან. [RT I, 23.02.2011, 1 - ძალაში შევიდა 01.09.2011]

### § 291. მუხლში მოყვანილი მიზეზები (მუხლი ეხება ჯვარედინ დაკითხვას)

მოწმე:

1) გარდაცვლილია;

2) უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე სასამართლო განხილვისას

3) თავისი ჯანმრთელობის გამო არ შესწევს, უნარი მისცეს ჩვენება;

4) მოწმის ადგილსამყოფელი ვერ დგინდება გონივრული ზომების მიღების მიუხედავად;

5) სასამართლოში ვერ გამოცხადდა სხვა დაბრკოლების გამო, რომელიც არის ხანგრძლივი ან მისი აღმოფხვრა არაპროპორციულად დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული და მხარემ, რომელმაც იშუამდგომლა გამოიყენა ყველა გონივრული ზომა რათა ის მიეყვანა სასამართლოში.

## ინგლისი და უელსი

2003 წლის სისხლის სამართალწარმოების აქტი ირიბ ჩვენებას განსაზღვრავს, როგორც განაცხადს, რომლებიც „სამართალწარმოებაში არ არის გაკეთებული ზეპირად“, თუმცა გამოიყენება, როგორც „მტკიცებულება ნებისმიერ დადგენილ საკითხთან მიმართებით“.

ირიბი ჩვენების დასაშვებობისთვის პირველადი ჩვენების მიმცემი, არ გამოცხადებული პირი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს:

- უნდა იყოს გარდაცვლილი;
- ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო შეუძლებელი უნდა იყოს მისი მოწმედ გამოცხადება;
- უნდა იმყოფებოდეს გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ და გონივრულად შეუძლებელი უნდა იყოს მისი პროცესზე დასწრებუზრუნველყოფა;
- შეუძლებელი უნდა იყოს მისი მოძებნა თუ მიღებულია ყველა გონივრული ზომა მის მოსაძებნად;
- პირმა უნდა გამოთქვას ჩვენების მიცემის შიში ან ჩვენების მიცემის გაგრძელების შიში.

ამას გარდა ირიბი ჩვენების დასაშვებობის გამონაკლისები დადგენილია პრეცედენტული სამართლით:

- Res gestae, ანუ ნათქვამი რომელიც ეხება კონკრეტულ ქმედებას და იგი ახლავს ამ ქმედებას;
- ბრალდებულის აღიარება მესამე პირთან;
- გარდაცვლილის ბოლო კომუნიკაცია

R v Woodcock<sup>4</sup>

გარდაცვლილის ბოლო კომუნიკაცია სანდოდ ითვლება ინგლისურ სამართალში. ვუდქოქის საქმეში ქალი სასიკვდილოდ სცემეს, სიკვდილიდან ორი დღით ადრე მსხვერპლმა უთხრა ერთ-ერთ მოწმეს, რომ მას ქმარმა სცემა. სასამართლომ განმარტა,

---

<sup>4</sup> (1789) 168 ER 352.

რომ ზოგადი პრინციპი ასეთი სახის ირიბი ჩვენების დასაშვებობის არის ის, რომ ის უნდა იყოს განცხადებული სიკვდილის პირას, როცა ყველა იმედი დაკარგულია და აღარ არსებობს ტყუილის მოტივი. ამ დროს გონება მიმართულია სიმართლისკენ.

- მხარის ან ექსპერტის მიერ იმ ექსპერტების ნააზრევზე მითითება, რომელიც არ არის წარმოდგენილი პროცესზე;

## ირლანდია

ირლანდიაში ირიბი ჩვენება დაუშვებელია გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელიც დადგენილი იქნა პრეცედენტული სამართლით. საქმეში *Rex v Christie*<sup>5</sup> სასამართლომ განმარტა, რომ თუ ირიბი ჩვენება ეხება ისეთ ნათქვამს, რომელიც მოხდა ბრალდებულის წინაშე, ბრალდებულის მიერ ამ ფაქტზე რეაქცია შესაძლოა გახდეს ირიბი ჩვენების დასაშვებობის საფუძველი. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ბრალდებულის რეაქცია ასეთ ნათქვამზე (იმ დროს როცა ეს ითქვა), შესაძლოა იყოს ისეთი, რომლის საფუძველზეც სასამართლომ ჩათვალოს, რომ ბრალდებული აღნიშნულ განაცხადს ეთანხმებოდა.

ციტატა გადაწყვეტილებიდან: *Rex v Christie*

„[ბრალდებული] შესაძლოა დაეთანხმოს ვინმეს მიერ ნათქვამს სიტყვით, ქმედებით, მოქმედებით ან ქცევით და ამ შემთხვევაში სასამართლო მსაჯულის გადასაწყვეტია ეთანხმება თუ არა ბრალდებული თავისი სიტყვებით, მოქმედებებით, ქმედებითა თუ ქცევით აღნიშნულ ნათქვამს“

ამას გარდა ირიბი ჩვენება დასაშვებია:

- 1) თუ მოწმე დაამტკიცებს, რომ ის სიტყვები ან ქმედება, რომელზეც ის ირიბი ჩვენებით მიუთითებს ნამდვილად იქნა ნათქვამი ან ჩადენილი.
- 2) თუ ნათქვამი ეხება კონკრეტულ ქმედებას ან ტრანზაქციას და იგი ახლავს ან ხსნის ქმედებას, ზოგადად დასაშვებია ირიბი ჩვენებით. (*Res Gestae*)

*The People (Attorney General) v Crosbie and Meehan*

ამ საქმეში, მსხვერპლმა, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრეს, დაჭრიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მიუთითა ბრალდებულზე და თქვა: „მას აქვს დანა, მან დამჭრა“. სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოწმის ნათქვამი

---

<sup>5</sup> HL 1914.

წარმოადგენდა ირიბ ჩვენებას, ჩვენების შინაარსი იყო ე.წ. *res gestae*, ანუ წარმოადგენდა იმ ქმედების ნაწილს, რომელზეც წაყენებული იყო ბრალდება. შესაბამისად, სასამართლომ ირიბი ჩვენება დაუშვა.<sup>6</sup>

3) ირიბი ჩვენებით დასაშვებია ისეთი განაცხადი, რომელიც თან ახლავს დადგენილ ქმედებას და ხსნის ჩამდენის განზრახვას.<sup>7</sup>

4) თუ კომუნიკაცია მოხდა სიკვდილის წინ, ეს შეიძლება დასაშვები იყოს როგორც ირიბი ჩვენება.

5) საჯარო დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია შეიძლება დასაშვები იყოს როგორც ირიბი ჩვენება.

6) გარდაცვლილი პირის მიერ ნათქვამი შეიძლება დასაშვები იყოს ირიბი ჩვენებით, თუ:

- ის ეხება გარდაცვლილის ფინანსურ ინტერესს;
- ის წარმოადგენს გარდაცვლილის მიერ მოვალეობის შესრულებისას გაკეთებულ ის წერილობით განაცხადს.;
- თუ ის ეხება გარდაცვლილის ნათესაურ კავშირებს;
- თუ ის წარმოადგენს გარდაცვლილის ანდერძის ახსნა/განმარტებას.

7) პირდაპირი ჩვენება სხვა საქმეზე სამართალწარმოებაში, დასაშვები იქნება ირიბ ჩვენებად მიმდინარე სამართალწარმოებაში.

## კანადა

კანადაში ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხი მოქნილია, დამოკიდებულია რა სასამართლოზე, თუმცა არსებობს ზოგადად ჩამოყალიბებული წესები. კანადის სასამართლოები ირიბ ჩვენებას იღებენ იმ შემთხვევაში თუ ის აკმაყოფილებს ორ კრიტერიუმს:

- თუ მტკიცებულება აუცილებელი და დამაჯერებელია;
- მტკიცებულების ღირებულება უფრო წონადია ვიდრე მისი საზიანოობა ბრალდებულისთვის.

---

<sup>6</sup> [2009] IECCA 52.

<sup>7</sup> O'Mahony. P; Criminal Justice in Ireland, Dublin Inst. of Public Administration 2002; გვ. 69.

პრეცედენტული სამართალი ადგენს, რომ კრიტერიუმები დაკმაყოფილებული იქნება, თუ ირიბი ჩვენება აუცილებლობას წარმოადგენს იმისთვის, რათა დამტკიცდეს კონკრეტული ფაქტი, თუ პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს და იმავე ხარისხის მტკიცებულების მოპოვება შეუძლებელია.<sup>8</sup>

ამ მოქნილი წესის არსებობის სასარგებლოდ არგუმენტი მოყვანილი იქნა საქმეში R v. Smith:<sup>9</sup> „მოქნილი წესისკენ სვლა მოტივირებული იყო იმის აღქმით, რომ ზოგადი წესის მიხედვით დამაჯერებელი მტკიცებულება არ უნდა იქნას უარყოფილი მხოლოდ იმის გამო, რომ ის არ ექვემდებარება გადამოწმებას. ირიბი ჩვენება ამჟამად დასაშვებია პრინციპულ საფუძვლებზე - მტკიცებულების დამაჯერებლობა და მისი აუცილებლობა“.

### ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში ირიბი ჩვენების დაშვების წინააღმდეგ არსებული წესიდან გამონაკლისების საკმაოდ ფართო ჩამონათვალია. ჩამონათვალი მოცემულია მტკიცებულების მიღების ფედერალური წესების 803-ე და 804-4 მუხლებში:

**803 მუხლი. გამონაკლისი ირიბი ჩვენების წინააღმდეგ არსებული წესიდან - მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა დეკლარანტის/განმცხადებელის მოწმის სახით დაკითხვა**

ირიბი ჩვენების წინააღმდეგ არსებული წესი არ ეხება ქვემოთ ჩამოთვლილ განცხადებებს, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა განმცხადებელის მოწმის სახით დაკითხვა:

(1) **დაუყოვნებლივი შთაბეჭდილება** - განცხადება, რომელიც აღწერს ან განმარტავს შემთხვევას ან მდგომარეობს, რომელიც გაკეთებულია დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა აღიქვა იგი.

(2) **აღელვებით გაკეთებული განაცხადი** - განცხადება, რომელიც დაკავშირებულია ამაღელვებელ შემთხვევასთან ან მდგომარეობასთან და გაკეთებულია იმ პერიოდში, როდესაც დეკლარანტი აღელვების სტრესის ქვეშ იყო

(3) **იმ მომენტში არსებული ფსიქიკური, ემოციური ან ფიზიკური მდგომარეობა** - განცხადება წარდგენილი მაშინდელი სულიერი მდგომარეობის გათვალისწინებით

---

<sup>8</sup> CONSULTATION PAPER HEARSAY IN CIVIL AND CRIMINAL CASES (LRC CP 60 - 2010) © COPYRIGHT Law Reform Commission, Ireland.

<sup>9</sup> (1992) 94 DLR (4th) 590.

(მაგალითად, მოტივი, განზრახვა ან დაგეგმვა) ან ემოციური და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით (როგორცაა ფსიქიკური განცდა, ტკივილი ან ჯანმრთელობა) 6 CONSULTATION PAPER HEARSAY IN CIVIL AND CRIMINAL CASES (LRC CP 60 - 2010) © COPYRIGHT Law Reform Commission, Ireland 7 (1992) 94 DLR (4th) 590

**(4) განცხადება, რომელიც გაკეთდა სამედიცინო დიაგნოსტიკის ან მკურნალობისათვის. განცხადება, რომელიც:**

ა) გაკეთდა და გონივრულად შეესაბამება სამედიცინო დიაგნოსტიკას ან მკურნალობას;

ბ) აღწერს სამედიცინო ისტორიას; ძველ ან ახლანდელ სიმპტომებს ან შეგრძნებებს; მათ დასაწყისს; ან სხვა ზოგად მიზეზებს.

**(5) აღბეჭდილია მოგონებებში.**

ჩანაწერი, რომლებიც:

ა) შეეხება იმ საკითხს, რომელიც მოწმემ ადრე იცოდა, მაგრამ ახლა იმდენად კარგად არ ახსოვს, რომ სრულად და ზუსტად მისცეს ჩვენება;

ბ) მოწმის მიერ გამჟღავნდა მაშინ, როდესაც ეს საკითხი მის მეხსიერებაში ჯერ კიდევ სიახლე იყო; და

გ) ზუსტად ასახავს მოწმის ცოდნას.

**(6) ჩანაწერი რეგულარულად განხორციელებულ აქტივობებზე.**

ჩანაწერები ქმედების, მოვლენის, მდგომარეობის, აზრის ან დიაგნოზის თაობაზე, თუ:

ა) ჩანაწერები გაკეთდა იმ დროს, იმ პირის მიერ, ვისაც ჰქონდა აღნიშნულის ან გადაცემული ინფორმაციის შესახებ ცოდნა;

ბ) ჩანაწერი რეგულარულად კეთდებოდა ჩატარებული ბიზნესის, ორგანიზაციის, საქმიანობის მიმდინარეობისას, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი შემოსავლის მიღებისკენ მიმართული;

გ) ჩანაწერის გაკეთება აღნიშნული საქმიანობისათვის რეგულარული პრაქტიკა იყო;



დ) ყველა ეს პირობები ნაჩვენებია მეურვის ან სხვა სათანადო მოწმის ჩვენებით ან მოწმობით, რომელიც შეესაბამება 902(11) ან (12) მუხლს ან მოწმობის ნებადამრთველი წესდებით; და (E) არც ინფორმაციის წყარო და არც მეთოდი ან მომზადების გარემოებები არ მიუთითებს არასანდოობაზე.

#### **(7) საჯარო ჩანაწერები.**

საჯარო მოხელის ჩანაწერი ან განცხადება, თუ:

ა) ის მოიცავს:

i) დაწესებულების საქმიანობას;

(ii) საკითხი შესწავლილია სამართლებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ანგარიშის გასაკეთებლად, მაგრამ ეს არ ეხება სისხლისსამართლებრივი საქმეს ან სამართალდამცავი პირების მიერ საკითხის შესწავლას; ან

(iii) მთავრობის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეზე, ფაქტის დადგენა სამართლებრივად უფლებამოსილი გამოძიების შედეგად.

ბ) ასეთი ინფორმაციის სავარაუდო წყარო და სხვა გარემოებები არ უმიუთითებს სანდოობის ნაკლებობაზე.

#### **(9) საჯარო ჩანაწერები მოსახლეობის სასიცოცხლო სტატისტიკის შესახებ.**

ჩანაწერი დაბადების, გარდაცვალების ან ქორწინების შესახებ, თუ ჩანაწერი გაკეთებულია საჯარო დაწესებულებაში დადგენილი წესის შესაბამისად.

#### **(10) რელიგიური ორგანიზაციების ჩანაწერები, რომლებიც შეეხება პირად ან ოჯახურ ისტორიას.**

განცხადება დაბადების, კანონიერად შობილობის, წარმომავლობის, ქორწინების, განქორწინების, სისხლით ან ქორწინებით ურთიერთობის, ან მსგავსი ფაქტები პირადი ან ოჯახური ისტორიიდან, რომელიც მოცემული იყო რელიგიურ ორგანიზაციაში რეგულარულად მიმდინარე ჩანაწერებში.

#### **(11) ქორწინების, ნათლობის და მსგავსი ცერემონიების მოწმობა.**

განცხადება ფაქტის შესახებ, რომელსაც შეიცავს მოწმობა:

ა) გაკეთებულია იმ პირის მიერ, რომელიც რელიგიური ორგანიზაციის ან კანონის მიერ არის უფლებამოსილი შეასრულოს დამოწმებული აქტი;

ბ) დადასტურება იმისა, რომ პირმა იქორწინა ან სხვა მსგავსი ცერემონია განახორციელა ან ჯვარი დაიწერა;

გ) აღნიშნავს, რომ გაცემულია ქმედების განხორციელების დროს ან გონივრულ ვადაში მას შემდეგ.

**(12) საოჯახო ჩანაწერები.**

ფაქტის კონსტანტირება პირადი ან ოჯახური ისტორიის თაობაზე, რომელიც შესულია ოჯახურ ჩანაწერში, როგორცაა ბიბლია, გენეალოგია, სქემა, გრავიურა ბეჭდზე ან პორტრეტზე წარწერა.

**(13) ჩანაწერები იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ქონების მიმართ ინტერესზე გავლენას ახდენს.**

**(14) განცხადებები იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ქონების მიმართ ინტერესზე გავლენას ახდენს.**

**(15) განცხადებები ძველ დოკუმენტებში.**

განცხადება, რომელიც ისეთ დოკუმენტშია, რომელიც სულ მცირე 20 წლის წინ არის შედგენილი და რომლის ნამდვილობაც დადგენილია.

**(16) ბაზრის ანგარიშები და მსგავსი კომერციული პუბლიკაციები.**

ბაზრის ციტატები, სიები, მაჩვენებლები ან სხვა კომპილაციები, რომლებსაც საზოგადოება ან გარკვეული პროფესიის პირები ეყრდნობიან.

**(17) განცხადებები ხელშეკრულებებში, ბროშურებში ან პერიოდულ გამოცემებში.**

განცხადება, რომელსაც შეიცავს ხელშეკრულება, პერიოდული გამოცემა ან ბროშურა, თუ:

ა) განცხადებაში ყურადღება გამახვილებულია ექსპერტი მოწმის ჯვარედინ დაკითხვაზე ან ეყრდნობა ექსპერტის პირდაპირ დაკითხვას; და

ბ) პუბლიკაცია, რომელიც ექსპერტის ჩვენებით და კიდევ ერთი ექსპერტის ან სასამართლო ცნობის მეშვეობით, დადგენილია, როგორც სანდო დამამტკიცებელი საბუთი. თუ დასაშვებად ცნობენ, განცხადება შეიძლება მიჩნეული იყოს მტკიცებულებად, მაგრამ მას სასამართლო პროცესზე არ განიხილავენ.

**(19) ინფორმაცია, რომელიც შეეხება პირად ან ოჯახურ ისტორიას.**

ინფორმაცია პირის სისხლით ნათესავის, შვილად აყვანილის, ან ქორწინებას. ასევე ინფორმაცია პირის პარტნიორისგან ან საზოგადოებიდან, რომელიც ეხება პირის დაბადებას, შვილად აყვანას, კანონიერად დაბადებას, წარმომავლობას, განქორწინებას, სიკვდილს, სისხლით ნათესაობას, ქორწინებას, პერსონალური ან ოჯახური ისტორიასა და მსგავს ფაქტებს.

**(20) რეპუტაცია ზოგად ისტორიასთან და საზღვრებთან დაკავშირებით.**

საზოგადოებაში არსებული რეპუტაცია - წარმოშობილი დაპირისპირებამდე - რომელიც დაკავშირებულია მიწის საზღვრებთან და ჩვეულებებთან, რომელიც გავლენას ახდენს მიწაზე ან ზოგად ისტორიულ მოვლენებზე, რომელიც მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსთვის ან ერისთვის.

**804 მუხლი. გამონაკლისი ირიბი ჩვენების წინააღმდეგ არსებული წესიდან - როდესაც განმცხადებელი მიუწვდომელია მოწმედ დაკითხვისათვის.**

**(ბ) გამონაკლისები**

ირიბი ჩვენების წინააღმდეგ არსებული წესი არ ეხება ქვემოთ ჩამოთვლილ განცხადებებს, თუკი დეკლარანტი/განმცხადებელი მიუწვდომელია მოწმედ დაკითხვისათვის

(1) მოწმის ძველი ჩვენება;

(2) განცხადება, რომელიც გაკეთებული იყო მოახლოებული სიკვდილის რწმენის ქვეშ;

(3) განცხადება მიმართული ინტერესის საწინააღმდეგოდ;

განცხადება:

(ა) რომელსაც დეკლარანტის პოზიციაში მყოფი გონიერი პირი გააკეთებდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სჯეროდა, რომ სიმართლეს ამბობდა, რადგან, როდესაც განაცხადა, იგი იმდენად ეწინააღმდეგებოდა დეკლარანტის საკუთრების ან მატერიალურ ინტერესს ან იმდენად დიდი იყო იმის მიდრეკილება, რომ ვიღაცის მიმართ დეკლარანტის მოთხოვნას ძალა დაეკარგებოდა ან მას სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხის წინაშე აყენებდა; და

ბ) რომელსაც განამტკიცებს დამადასტურებელი გარემოებები, რომლებიც ნათლად მიუთითებს მის საიმედოობაზე, თუკი იგი შემოთავაზებულია სისხლის სამართლის

საქმეზე, როგორც განცხადება, რომელიც დეკლარანტის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხეში ჩაგდებისკენ არის მიმართული.

#### (4) განცხადება პირადი ან ოჯახური ისტორიის თაობაზე;

განცხადება, რომელიც:

ა) ეხება პირადად დეკლარანტის დაბადებას, შვილად აყვანას, კანონიერად შობილობას, წარმომავლობას, ქორწინებას, განქორწინებას, სისხლით ნათესაობას, შვილებას, ქორწინებას ან პირადი ან ოჯახური ისტორიის მსგავს ფაქტებზე, მიუხედავად იმისა, რომ დეკლარანტს არ ჰქონდა გზა, რათა მოეპოვებინა ფაქტის შესახებ ცოდნა; ან

ბ) ეხება სხვა პირს, თუკი დეკლარანტი დაკავშირებული იყო მასთან სისხლით, შვილად აყვანით, ან ქორწინებით ან იმდენად მჭიდროდ ასოცირდებოდა პირის ოჯახთან, რომ დეკლარანტის ინფორმაცია სავარაუდოდ ზუსტი უნდა იყოს.

#### (6) განცხადება მიმართული იმ მხარის წინააღმდეგ, რომელმაც არაკანონიერად გამოიწვია მოწმის მიუწვდომლობა;

განცხადება მიმართული იმ მხარის წინააღმდეგ, რომელმაც არაკანონიერად გამოიწვია, ან ირიბად დაუშვა მოწმის მიუწვდომლობა და ეს გააკეთა დამდგარი შედეგის განზრახვით.

### ირიბი ჩვენებები და ხასიათის შესახებ მტკიცებულებები საფრანგეთის და გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის მაგალითზე

#### საფრანგეთი

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო და მტკიცებულებების ნაწილის ძირითადი წესები მოცემულია 1958 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში - **Code de procedure penale (CPP)**. აღნიშნული საკითხი მოიცავს საპროცესო ნორმების სამ ნაწილს, რომელიც გამოიყენება პირველი ინსტანციის სასამართლოს სამ დონეზე. ზემოთ აღნიშნული წესებით უზრუნველყოფილია სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულის განხილვა. ყველაზე დაბალი დონე მოიცავს პოლიციის ტრიბუნალს - **tribunal de police**, სადაც ერთი პროფესიონალი მოსამართლე განიხილავს ნაკლებად მძიმე დანაშაულებს, სამართალდარღვევებს. შუა დონე წარმოადგენს გამასწორებელ ტრიბუნალს - **tribunal correctionnel**, სადაც სამი პროფესიონალი მოსამართლისგან

შემდგარი პალატა განიხილავს დელიქტებს (*delits*) - საშუალო სიმძიმის დანაშაულებს. უმაღლესი ინსტანცია არის საკასაციო სასამართლო - *Cour d'assises*, სადაც 9 არამოსამართლე და 3 პროფესიონალი მოსამართლისგან შემდგარი კომბინირებული პალატა განიხილავს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს.

თითოეულ ამ სასამართლოში, მტკიცებულებათა მარეგულირებელი წესები ერთმანეთის მსგავსია ფართო გაგებით. მტკიცებულება შესაძლებელია იყოს *frappe de nullite*, რაც გულისხმობს მის უარყოფას და გამორიცხვას საქმის მასალებიდან, რადგან იგი მიღებულ იქნა იმ ნორმების საწინააღმდეგოდ, რომლებიც არეგულირებენ ასეთი მტკიცებულებების მიღების წესს. თუმცა, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც რელევანტურია, დასაშვებია მტკიცებულების სახით. შესაბამისად, არ არსებობს გამონაკლისი წესები ანგლო-ამერიკული სისტემის მნიშვნელობით, არც ისეთი ნორმები არსებობს, რომელიც რაიმე ფორმის მტკიცებულებას გარკვეულ წონას ანიჭებს (დამატებითი მტკიცებულებებით გამყარების მოთხოვნები). ფრანგი მეცნიერ-იურისტები, როგორც წესი, ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესი აღიარებს „ზეპირობის პრინციპს“.<sup>10</sup> თუმცა, დაკითხვის დროს, აღნიშნული პრინციპი განსხვავდება სასამართლოების მიხედვით და იგი არც ერთ შემთხვევაში არ წარმოშობს მსგავს შედეგს, როგორც ინგლისში მიღებული ირიბი ჩვენების (განაგონის) და ნარატივის გამომრიცხველი წესები.

გამასწორებელი ტრიბუნალის და პოლიციის ტრიბუნალის დროს მტკიცებულებების მარეგულირებელი ძირითადი წესი მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **427-ე მუხლში**: თუ კანონით სხვა რამე არ არის დადგენილი, სამართალდარღვევები შესაძლებელია დამტკიცდეს ნებისმიერი სახის მტკიცებულებით და მოსამართლე წყვეტს მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე (შინაგანი რწმენა). მოსამართლე არ არის უფლებამოსილი არ დააფუძნოს თავისი გადაწყვეტილება იმ მტკიცებულებაზე, რომელიც მის წინაშე იქნა ორივე მხარის მიერ სამართალწარმოების დროს განხილული.

თუმცა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსად არის ცალსახად აღნიშნული, ფრანგი იურისტებისთვის აქსიომას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ის მტკიცებულება, რომელიც შესაძლებელია ამ სასამართლოებში იქნას გამოყენებული წარმოადგენს *proces-verbaux* - ბრალდებულის და მოწმეების პოლიციის ან გამომძიებელი მოსამართლის (იმ შემთხვევაში, თუ ასეთი პირის ჩართულობას

---

<sup>10</sup> Merle and Vitu, *Traite de droit criminel: procedure penale* (4<sup>th</sup> ed 1989) para 612.

საქმის სირთულე მოითხოვს) მიერ განხორციელებული წინასასამართლო დაკითხვის წერილობითი ოქმები. ანალოგიური გამოიყენება ჩვეულებრივი ირიბი ჩვენების მიმართ: მოწმის მიერ მიცემული ზეპირი მტკიცებულება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „... და შემდეგ X-მა მითხრა, რომ ასე და ასე მოხდა“. ფრანგული სამართლებრივი ტრადიცია, მაინც, მიიჩნევს მოწმის დაკითხვის წერილობით ოქმებს, როგორც უფრო მნიშვნელოვან მტკიცებულებას, ვიდრე იმ პირის მიერ მიცემულ ზეპირ ჩვენებას, რომელიც შემთხვევით იმეორებს მოწმის მიერ მისთვის განხორციელებულ მონათხრობს.

გამასწორებელი ტრიბუნალის და პოლიციის ტრიბუნალის წინაშე, „ზეპირობის პრინციპი“ შემდეგ რამეს გულისხმობს. პირველ რიგში, ორივე მხარეს (ბრალდებას და დაცვას) შეუძლია ნებისმიერი მოწმე გამოიძახოს სასამართლოში და დაკითხოს ზეპირად და მეორე - სასამართლო არ არის უფლებამოსილი საქმე გადაწყვიტოს ისეთ მტკიცებულებაზე (ზეპირი თუ წერილობითი) დაყრდნობით, რომელიც ბრალდებულის წინაშე სასამართლო პროცესზე არ განხილულა, რათა ამ პირისთვის აღნიშნული მტკიცებულების განხილვის საშუალება არ ყოფილიყო. აღნიშნულ სასამართლოებში, ეს პრინციპი რა თქმა უნდა არ გულისხმობს, რომ მოსამართლეს აკრძალული აქვს საქმის გადაწყვეტა მოწმის მიერ ადრე მიცემული ჩვენების წერილობით ოქმებზე დაყრდნობით, თუ აღნიშნული პირი ზეპირ ჩვენებას სასამართლო პროცესზე ვერ იძლევა. თუ მოწმეები გამოძახებულნი არიან პროცესზე, მაგრამ ვერ მოვიდნენ, სასამართლოს შეუძლია და ხშირ შემთხვევაში იყენებს წერილობით ოქმებს. ხშირად, პროცესის არც ერთი მხარე არ წუხს ამ მოწმეების სასამართლო პროცესზე მოწვევის თაობაზე.<sup>11</sup>

საკასაციო სასამართლოს წინაშე, „ზეპირობის პრინციპი“ გულისხმობს ცოტა უფრო მეტს, როგორც „ზეპირობა“ საერთო სამართლის ტრადიციის მიხედვით. მოწმეები, დადგენილი წესის მიხედვით, გამოძახებულნი არიან სასამართლოში და მოლოდინი არის, რომ ისინი გამოცხადდებიან და ზეპირად მისცემენ ჩვენებას. როგორც სხვა სასამართლოებში, სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს დოსიე, რომელიც მოიცავს ჩვენებების წერილობით ოქმებს, მათ შორის იმ მოწმეებისა, რომლებიც არ გამოცხადებულან. ამ შემთხვევაში, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამდენიმე თავი შეიქმნა იმ მიზნით, რომ სასამართლო საქმეს წყვეტს უფრო მეტად ზეპირი ჩვენების საფუძველზე, ვიდრე წერილობით ოქმებზე დაფუძნებით. კერძოდ, კოდექსის **347-ე მუხლის** თანახმად, როდესაც მოსამართლეთა და ნაფიცი მსაჯულების კომბინირებული პალატა გადის ვერდიქტის გამოსატანად,

---

<sup>11</sup> Merle and Vitu, *ibid*, para 652

მათ არ შეუძლიათ დოსიეს თან წაღება (თუმცა, არსებობს აღნიშნული დოკუმენტის გაგზავნის და მხარეთა წინაშე მისი განხილვის შესაძლებლობა). ეს წესები შეიძლება ჩანაცვლდეს **310-ე მუხლით**, რომელიც აცხადებს, რომ: სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, რომლის მიხედვით მას შეუძლია კეთილსინდისიერად და ჯეროვნად მიიღოს ნებისმიერი ის ზომა, რომელიც მას მიაჩნია საჭიროდ სიმართლის დასადგენად.

პრეცედენტული სამართალი ნათელყოფს, რომ აღნიშნული უფლებამოსილება, საშუალება აძლევს მოსამართლეს ნაფიც მსაჯულებს ღია სასამართლო სხდომაზე წაუკითხოს იმ მოწმეების წერილობითი ოქმები, რომლებიც პროცესზე არ იმყოფებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, პროცესზე არმყოფი მოწმეების მიერ ადრე მიცემული ჩვენების სტატუსი ძალიან არ განსხვავდება იმისგან, რაც არსებობს გამასწორებელი ტრიბუნალის და პოლიციის ტრიბუნალის წინაშე, გარდა იმისა, რომ მოსამართლეების და ნაფიცი მსაჯულების კომბინირებულ პალატას, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეებისგან განსხვავებით, არ შეიძლება ჰქონდეს აღნიშნული დოკუმენტები წაკითხული ან ხელახლა წაკითხული, როდესაც ვერდიქტზე მსჯელობენ.

### **უსაფრთხოების ზომები**

საფრანგეთის სასამართლოებში დაშვებულია ირიბი ჩვენებები (განაგონი) და მათი მხედველობაში მიღება, რომელიც არ გულისხმობს იმას, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს იმ პრობლემის აღიარებას, რომ განაგონი თავის თავში მოიცავს გარკვეულ დამახასიათებელ სისუსტეებს.

ეს საკითხი ეხება პოლიციის და გამომძიებელი მოსამართლის მიერ წინასასამართლო სტადიაზე განხორციელებული დაკითხვების წერილობით ოქმებს, რომელიც რეგულირდება რამდენიმე პროცედურული წესის მიხედვით. ვინაიდან ინგლისში ტრადიციულად არ არსებობდა ოფიციალური წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაეკითხა პოლიციას მოწმეები, გამომძიებელი მოსამართლის მიერ განხორციელებული წინასწარი დაკითხვა რეგულირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **101-113-ე მუხლების** მიხედვით. გარდა ამისა, თუ მოწმე სრულწლოვანია, იგი ვალდებულია გამომძიებელი მოსამართლის წინაშე ფიცი დადოს. თუმცა, პროცესი დახურულია, სხდომის მდივანი ესწრება დაკითხვას. მოწმის ჩვენება ჩაიწერება, რომლის ყოველი გვერდი წაეკითხება მოწმეს ან წაკითხულ იქნება მის მიერ და ხელი მოეწერება დასტურის ნიშნად შესაბამისი

მოწმის, მდივნის და გამომძიებელი მოსამართლის მიერ. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომი ხდება დაცვის მხარისთვის სასამართლოს სხდომამდე. როდესაც მოწმე პოლიციაში იკითხება, კოდექსის **62-ე თავი** გარკვეულ უსაფრთხოების ზომებს (მაგრამ, ნაკლებად მკაცრ საშუალებებს) ითვალისწინებს.

მეორე უსაფრთხოების ზომა დაკავშირებულია შეპირისპირებასთან. როდესაც გამომძიებელი მოსამართლე მონაწილეობს პროცესში, იგი თითქმის ყოველთვის უზრუნველყოფს შეპირისპირების განხორციელებას ბრალდებულსა და იმ მოწმეს შორის, რომლის ჩვენებასაც იგი არ ეთანხმება, რომლის დროსაც, ბრალდებულს აქვს გარკვეული შესაძლებლობა ეჭვის ქვეშ დააყენოს მოწმის ჩვენება. თუმცა, ჩვეულებრივ შემთხვევაში, როცა გამომძიებელი მოსამართლე არ მონაწილეობს პროცესში, ხშირ შემთხვევაში, შეპირისპირება არ ხდება.

მესამე, როგორ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, უკავშირდება ბრალდებულის (და რა თქმა უნდა პროკურორის) უფლებას მოწმის აუცილებლობის შესახებ - მათ შორის იმ პირისა, რომელიც ადრე უკვე დაკითხულ იქნა - გამომძიებელ იქნას სასამართლოში, ჩვენების მისაცემად. ამ დებულების ეფექტურობა შეზღუდულია, რადგან მოწმეს შეუძლია არ დაემორჩილოს სასამართლოს უწყებას გამომძიებლის შესახებ. თუ იგი ასე მოიქცევა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს აქვს უფლებამოსილება იძულებით უზრუნველყოს მოწმის დასწრება და ამ მიზნით გადადოს სხდომა, ასევე შეუძლია გადაწყვიტოს, რომ უარი თქვას სხდომის გადადებაზე და იმ მტკიცებულებით გააგრძელოს საქმე, რომელიც უკვე ხელთ აქვს. აღნიშნული მტკიცებულება, სავარაუდოდ, არის მოწმის ადრინდელი ჩვენების წერილობითი ოქმები, რომელიც დოსიეშია მოცემული. ერთ დროს, ამას შეიძლება ადვილად გამოეწვია ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა იმ მოწმის წერილობითი განაცხადის საფუძველზე, რომლის დაკითხვაც დაცვის მხარეს არ შეეძლო, როგორც სასამართლო პროცესზე, ისე მანამდე. ბოლო წლების განმავლობაში, საფრანგეთის სასამართლოებმა თავიანთი საპროცესო სამართალი მოარგეს სტრასბურგის სასამართლოს მთელ რიგ გადაწყვეტილებებს<sup>12</sup> და როგორც დღესდღეობით არის მიღებული, ფრანგ ბრალდებულს შეუძლია დაჟინებით მოითხოვოს სასამართლო პროცესზე მოწმე, რომლის ყოფნა შესაძლებელია, თუ ბრალდებულს მანამდე არ ჰქონდა საშუალება კითხვები დაესვა უფრო ადრეულ ეტაპზე, როგორც წესი, გამომძიებელი მოსამართლის მიერ შეპირისპირების დროს.

---

<sup>12</sup> See Part V above.



რა საშუალება არსებობს, თუ მართლა შეუძლებელია შეპირისპირების მოწყობა მოწმესთან - მაგალითად, იმის გამო, რომ იგი გარდაიცვალა? საფრანგეთის 1990-იანი წლების პრეცედენტული სამართალი განმარტავს, რომ სასამართლო „ვალდებულია მოუსმინოს მოწმეებს, რომლებიც არასდროს შეპირისპირებულან ბრალდებულთან, რომლის ჩვენება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სიმართლის დასადგენად; სასამართლოს არ შეუძლია აღნიშნული ქმედების თავიდან აცილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს უმოქმედობის მიზეზი, რაც დაკავშირებულია გადაულახავ სირთულეებთან, მაგალითად, ძებნის ორდერის გამოცემის შემდეგ, მოწმის ადგილსამყოფლის დაუდგენლობა, მისი დეპორტაცია ან საზღვარგარეთ მისი დაპატიმრება”<sup>13</sup> და როცა ასევე არსებობს კონკრეტული გარემოებები, „რომელიც მოქმედებს შეპირისპირების საწინააღმდეგოდ ან რომელიც სავარაუდოდ ართმევს მტკიცებულებით მნიშვნელობას, თუ იგი ასეთს ფლობს“.<sup>14</sup> (როგორც ადრე ვნახეთ,<sup>15</sup> *Saidi* -ის საქმეში<sup>16</sup>, საფრანგეთის სასამართლოები უფრო შორს წავიდნენ და დაადგინეს სავარაუდო ნარკო-მოვაჭრესთან ზოგიერთი მოწმის შეპირისპირებაზე უარის თქმა, რომლებმაც იგი ამოიცინეს, როგორც მათი მომმარაგებელი, იმიტომ, რომ აღნიშნული მოქმედების განხორციელების საჭიროება არ იყო. ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით უარყოფილ იქნა სტრასბურგის სასამართლოს მიერ).

საბოლოოდ, ბრალდებულს აქვს გარკვეული ხარისხის დაცვის საშუალებები საფრანგეთის სამართლებრივი ტრადიციის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ირიბი ჩვენება (განაგონი) ფართოდ დაიშვება საფრანგეთში, ფრანგი მოსამართლეები აცხადებენ, რომ ისინი მთლიანად გათვითცნობიერებულები არიან აღნიშნული მტკიცებულების სუსტი მხარეების შესახებ და პრაქტიკაში არ ხდება, რომ სასამართლომ საბრალდებო განაჩენი დააყრდნოს მხოლოდ ირიბ ჩვენებას. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ფრანგ იურისტებს აქვთ შემცირებული კონცეფცია განაგონის მნიშვნელობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ სამართალში, პოლიციაში მოწმის მიერ მიცემული ფორმალური წერილობითი ჩვენება ან განცხადება სამართალწარმოების დროს წარმოადგენს ირიბ ჩვენებას, იმდენად რამდენადაც, მოწმე ა-ს მიერ მიცემული ზეპირი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ბ-მ მას რაღაც უთხრა, ფრანგული სამართლებრივი ტრადიცია - აღნიშნულ შემთხვევებს განსხვავებულად აღიქვამს. მეორე ტიპის ჩვენება არის *oui-dire* (განაგონი) და

<sup>13</sup> Stefani, Levasseur et Bouloc, *Procédure Penale* (15th ed 1993) para 688.

<sup>14</sup> *Ibid*, para 678.

<sup>15</sup> See para 5.20 in Part V above.

<sup>16</sup> *Saidi v. France* (1994) 17 EHRR 25 1.

სიფრთხილით უნდა იქნეს განხილული. პირველი სახის ჩვენება წარმოადგენს *deposition* (ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება) და უფრო მეტ ნდობას იმსახურებს.

## გერმანია

გერმანიის სისხლის სამართლის პროცესი მომდინარეობს საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესიდან და მისი მტკიცებულების მარეგულირებელი წესები იზიარებს ზოგიერთ მის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მახასიათებელს. აქედან გამომდინარე, მტკიცებულება შეიძლება არ იყოს მხედველობაში მიღებული, მისი უკანონო ან არასათანადოდ გზით მიღების გამო, მაგრამ საბოლოოდ, ყველა შესაბამისი მტკიცებულება, პრინციპში, დასაშვებია. ისევე როგორც საფრანგეთის კანონმდებლობა, გერმანული სამართლის მიხედვით არ არსებობს წესები რომელიმე კონკრეტული კატეგორიის მტკიცებულების გამოსარიცხად, როგორცაა ირიბი ჩვენება ან ხასიათის შესახებ მტკიცებულება. ასევე არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული წესები, თუ როგორ უნდა შეფასდეს მტკიცებულება.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, გერმანელი მწერლები გახდნენ უფრო და უფრო კრიტიკულები იმ წერილობითი ოქმების - *Protokolle*-ს მიმართ, რომელსაც გამორჩეული ადგილი ერგო მტკიცებულებების მარეგულირებელი თანამედროვე გერმანული წესების მიხედვით, ისევე როგორც საფრანგეთში არსებული ნორმების მსგავსად, რაც არის *proces-verbaux*-ის (წერილობითი ოქმები) გერმანული ანალოგი. როდესაც, 1870 წელს გერმანიის გაერთიანების შემდეგ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიქმნა, ის შეიცავდა დებულებას, რომლის მიზანი იყო ხელი შეეწყო ზეპირი ჩვენების გამოყენებისთვის. ეს დებულება დღესაც ძალაშია გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის - (StPO)-ის **250-ე მუხლის** სახით:

## პირადი დაკითხვის პრინციპი

იმ შემთხვევაში, თუ ფაქტის მტკიცებულება ეფუძნება პირის დაკვირვებას, ეს პირი უნდა დაიკითხოს სასამართლო პროცესზე. დაკითხვა ვერ შეიცვლება ადრინდელი დაკითხვის ჩანაწერის მოყვანით ან წერილობითი განაცხადის წაკითხვით.

ეს დებულება ექვემდებარება (და ყოველთვის ექვემდებარებოდა) გარკვეული სახის გამოკვეთილ გამონაკლისებს. იგი გადმოცემულია 251-ე მუხლის I პარაგრაფში, რომელიც მისი ამჟამინდელი ფორმით ასეთია:

ჩანაწერების წაკითხვა

(1) მოწმის, ექსპერტის ან თანაბრალდებულის დაკითხვა შეიძლება შეიცვალოს მოსამართლის მიერ მისი წინარე დაკითხვის ჩანაწერების წაკითხვით იმ შემთხვევაში, თუ

1. მოწმე, ექსპერტი ან თანაბრალდებული გარდაიცვალა ან ფსიქიკურად შეიშალა ან, თუ მისი ადგილსამყოფელი ვერ იქნა აღმოჩენილი.
2. მოწმე, ექსპერტი ან თანაბრალდებული ვერ გამოცხადდებიან სასამართლოზე ხანგრძლივი ან განუსაზღვრელი ვადით ავადმყოფობის, უძლურების ან სხვა სირთულეების გამო, რომელიც არ შეიძლება იქნას დაძლეული.
3. მოწმე ან ექსპერტი ვერ გამოცხადდებიან სასამართლოზე დიდი მანძილით დაშორების მიზეზით და მათი ჩვენების მნიშვნელოვნების გათვალისწინებით.
4. პროკურორი, ადვოკატი და ბრალდებული ეთანხმებიან ჩანაწერების წაკითხვას.

251-ე მუხლის ამ ნაწილის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწმე, ექსპერტი ან თანაბრალდებული დაკითხულნი არიან მოსამართლის წინაშე. გერმანიაში, მოწმეთა წინასასამართლო დაკითხვა გახდა არარეგულარული მას შემდეგ, რაც გამომძიებელი მოსამართლის გერმანული ანალოგი გაუქმდა 1970-იან წლებში, მაგრამ გამონაკლისის სახით, ჯერ კიდევ შესაძლებელია მოწმის მოსამართლის მიერ დაკითხვა. პირველ რიგში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის გ) პუნქტი ქმნის პროცედურას, რომლის მიხედვითაც მოწმე შესაძლებელია დაკითხულ იქნეს მოსამართლის მიერ პროცესის დაწყებამდე (დაცვის მხარის დასწრების უფლებით იყოს წარმოდგენილი) და მეორე, კოდექსის 223-ე მუხლი საშუალებას აძლევს სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეს მოითხოვოს მტკიცებულება სასამართლო პროცესზე არმყოფი მოწმის ან ექსპერტის (საერთო სამართლის პრინციპების მოთხოვნების მიხედვით) კომისიაზე მისაღებად. 223-ე მუხლი ასეთია:

### **მოწმის დაკითხვა დანიშნული მოსამართლის მიერ**

(1) როდესაც მოწმის ან ექსპერტის გამოცხადება მთავარ პროცესზე სათუთა ხანგრძლივი ან განუსაზღვრელი დროის განმავლობაში, ავადმყოფობის, უძლურების ან სხვა სირთულეების გამო, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს მოსამართლე დაკითხვის ჩატარების მიზნით.

(2) იგივე ვრცელდება მოწმის ან ექსპერტის მთავარ პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დიდი მანძილით დაშორების გამო.

(3) მოწმე უნდა შემოწმდეს ფიცის დადების პირობებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამონაკლისი გათვალისწინებულია ან ნებადართულია.

თუ განცხადება არ ემთხვევა მოწმის მხრიდან მოსამართლის წინაშე წარმოთქმულს, განცხადების წაკითხვამ შეიძლება ჩაანაცვლოს მოწმის ცოცხალი ჩვენება იმ ვიწრო გარემოებების პირობებში, რომლებიც გაწერილია კოდექსის 251-ე მუხლის II პარაგრაფში:

იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს ჰყავს ადვოკატი, მოწმის, ექსპერტის ან თანაბრალდებულის დაკითხვა შესაძლებელია ჩანაცვლდეს სხვა დაკითხვის ჩანაწერებით ან იმ დოკუმენტის წაკითხვით, რომელიც შეიცავს წერილობით განცხადებას ამავე პირის მიერ, თუ პროკურორი, ადვოკატი და ბრალდებული აღნიშნულზე თანხმდებიან. სხვა შემთხვევაში, წაკითხვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა მოწმე, ექსპერტი ან თანაბრალდებული გარდაიცვალა ან არსებობს რაიმე სხვა მიზეზი, რის გამოც უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდება მათი მოსამართლის მიერ დაკითხვა.

თუ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლის არცერთი გამონაკლისი არ ვრცელდება და მოწმე, რომელმაც განცხადება მანამდე გააკეთა, მიდის სასამართლოში და ზეპირად აძლევს ჩვენებას, სასამართლო უგულებელყოფს მისი ადრინდელი განაცხადის შინაარსს და მხოლოდ მისი ეს ზეპირი ჩვენებაა იურიდიული ძალის მატარებელი.<sup>17</sup>

ეს, როგორც მინიმუმ, ოფიციალური პოზიციაა. პრაქტიკაში, სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეს აქვს წვდომა იმ დოკუმენტთან, რომელშიც თავდაპირველი განცხადებები ინახება და იგი უნდა გაეცნოს მათ სასამართლო პროცესამდე, რათა შეძლოს განახორციელოს თავისი მოვალეობა — დაკითხოს მოწმეები. პრეზიდენტი არ აჩვენებს ამ დოკუმენტს სასამართლოს სხვა წევრებს და როდესაც სასამართლოს

---

<sup>17</sup> მოწმის ან ბრალდებულის მიერ ადრე მიცემული ჩვენება შესაძლებელია წაკითხულ იქნეს სასამართლო პროცესზე შემდეგ გარემოებებში. კოდექსის 253-ე მუხლის I პარაგრაფის მიხედვით, მოსამართლე უფლებამოსილია წაკითხოს მოწმის ან ექსპერტის ადრე მიცემული განცხადებები, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირები პროცესზე განაცხადებენ, რომ მათ არ ახსოვთ ესა თუ ის ფაქტი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლის II პარაგრაფის მიხედვით, მოსამართლეს აქვს იგივე უფლებები, როცა არსებობს წინააღმდეგობა პროცესზე და მანამდე გაკეთებულ ჩვენებებს შორის. 254-ე მუხლი საშუალებას აძლევს მოსამართლეს წაკითხოს ბრალდებულის წინარე ჩვენებები, როდესაც იგი მოსამართლის წინაშე იკითხებოდა, რათა აღიარებოდა ჩვენება მიედო ან როცა, წინარე განაცხადი ეწინააღმდეგება ბრალდებულის პროცესზე მიცემულ ჩვენებას (254-ე მუხლის II პარაგრაფი).

გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება (რისი მოთხოვნაც არსებობს), ცხადია არ ხდება მისი, როგორც მტკიცებულების აღნიშვნა, რომელიც მან გაითვალისწინა. მაგრამ ყოველთვის არის იმის შესაძლებლობა, რომ შეგნებულად თუ შეუგნებლად, სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებაზე საქმის შესახებ, გავლენა მოახდინოს იმ ინფორმაციამ, რომელიც დოსიეშია აღნიშნული.

ერთი შეხედვით, გერმანული „პირდაპირობის პრინციპი“ ძალიან ჰგავს ინგლისურ ირიბი ჩვენების პრინციპს. თუმცა, მსგავსება არის მხოლოდ ზედაპირული, იმის გამო, რომ „პირდაპირობის პრინციპი“ არის ინკლუზიური წესი და არა ექსკლუზიური. ის არ უკრძალავს სასამართლოს მოუსმინოს ირიბ ჩვენებას: იგი მოითხოვს, რომ სასამართლო შეეცადოს მოიპოვოს პირდაპირი მტკიცებულება, აღნიშნულის შესაძლებლობის შემთხვევაში. თუ ბრალდებულს სურდა ედავა, რომ „პირდაპირობის პრინციპი“-ს პატივისცემა არ მოხდა, მისი საჩივარი არ იქნება ის, რომ სასამართლომ დაუშვებელი მტკიცებულება განიხილა. ჩივილის მიზეზი იქნება ის, რომ სასამართლომ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა მოეძიებინა პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც მისი ზოგადი ვალდებულების ნაწილია, რაც გულისხმობს მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა დადგინდეს სიმართლე. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია კოდექსის 244-ე მუხლის II პარაგრაფი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

იმისათვის, რომ გაირკვეს სიმართლე, სასამართლო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები, რათა მოიცვას ყველა ფაქტი და შესაძლო მტკიცების საშუალება, რომლებიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად.

250-ე და 251-ე მუხლების მიხედვით, გერმანიაში, ისევე როგორც საფრანგეთში, ირიბი ჩვენებები ზოგადად დასაშვებია.<sup>18</sup>

ეს უკვე არაერთხელ დადასტურდა გერმანიის სასამართლოების მიერ. მაგალითად, 1951 წელს იყო ბავშვზე ძალადობის შემთხვევა, რომელშიც წარმოიშვა საკითხი იმის თაობაზე, შეეძლო თუ არა ორ ქალს გაემეორებინა ჩვენება სასამართლო პროცესზე, რაც მათ ბავშვმა უთხრა (რომელმაც მოგვიანებით უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე). Bundesgerichtshof-მა განაცხადა:<sup>19</sup>

იმ შემთხვევაში, თუ არაპირდაპირი მოწმის ჩვენების მიღება ვერ ხერხდება, მაშინ მისი ადგილი შეზღუდვების გარეშე შეუძლია დაიკავოს ირიბი ჩვენების მიმცემმა

<sup>18</sup> C Roxin, *Strafverfahrensrecht* (23d ed 1993) p 326-327; K Peter, *Strafprozess* (4th ed 1985) para 39.

<sup>19</sup> BGHSt 1, 373, 376.

მოწმემ. მისი ჩვენება შეიძლება მოთხოვნილიც კი იყოს კოდექსის 244-ე მუხლის მეორე პარაგრაფის მიხედვით. ის, რაც ამ ჩვენებაში იქნება გადმოცემული, შეიძლება ხშირად იყოს იმაზე ნაკლები ღირებულების, ვიდრე პირდაპირი მოწმის ჩვენება და ის არის მტკიცებულების შეფასებისას მნიშვნელოვანი და არავითარი კავშირი არ აქვს იმასთან, მოისმენენ თუ არა ასეთ ჩვენებას.

ამდენად, გააკეთა თუ არა მოწმემ ოფიციალური განცხადება, რომელსაც 250-ე მუხლი ეხება, არაფერი აბრკოლებს სხვა მოწმეებს რომ პროცესზე გაიმეოროს იგივე, რაც წინა მოწმემ თქვა.

### ***უსაფრთხოების ზომები***

გერმანულმა სასამართლოებმა იციან იმ ყველა შესაძლო რისკის შესახებ, რომელსაც ზემოთ აღნიშნული ქმნის უდანაშაულო ბრალდებულების მიმართ და არსებობს რამდენიმე სახის უსაფრთხოების ზომა.

პირველი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის სასამართლოს ზოგადი ვალდებულება ეძიოს ჭეშმარიტება. როგორც წესი, ეს ნიშნავს რომ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს სურს საწყისი განცხადების გამკეთებელმა პირმა წარმოადგინოს პირდაპირი მტკიცებულება, გერმანული სასამართლო უზრუნველყოფს ამის შესრულებას.

მეორე არის, ფაქტობრივად, დასაბუთებულობის მოთხოვნა. რამდენიმე საქმის შემთხვევაში, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ (Bundesgerichtshof) განაცხადა, რომ ამ სახის ირიბი ჩვენება არ არის თავისთავად საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. ბოლო საქმის შემთხვევაში, სასამართლომ გააუქმა ბრალდებულის მსჯავრდება დაკავების თაობაზე, რადგან იგი ეფუძნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ირიბ ჩვენებას, და დაადგინა.<sup>20</sup>

მოწმის ირიბი ჩვენება შესაძლებელია იყოს გამამტყუნებელი განაჩენის საბაზი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი დასტურდება სხვა მტკიცებულებით, რომელსაც აქვს უპირატესი მამტკიცებელი მნიშვნელობა სასამართლოში.

მესამე არის ის, რომ მაშინ როცა ირიბი ჩვენება დაშვებულია, გერმანულმა სასამართლოებმა უარი თქვეს, ფაქტობრივად, მსაჯვრის დადებაზე, რომელიც დაეფუძნება მხოლოდ ირიბ ჩვენებებს.<sup>21</sup>

---

<sup>20</sup> BGH, 08. 01. 1991 (StV 1991, 197).

<sup>21</sup> NStZ 1990, 24.

ირიბი ჩვენების მტკიცებულებითი ღირებულება ფრთხილად უნდა შეფასდეს. ირიბმა მოწმემ შესაძლებელია გადმოსცეს ცნობები ნიშნებსა და ახალ ამბებზე, რომელიც მისთვის უკვე ცნობილი გახდა სხვა ადამიანების პირად აღქმაზე დაყრდნობით. ეს შესაძლებელია არ იყოს ინფორმაცია, რომელიც მან შეიძინა დაკითხვების წერილობითი ოქმების სახით გაცნობის შემდეგ, რომლებშიც მას მონაწილეობა არ მიუღია.

ამ ყველაფრის ფონზე, რიგითი იურისტისთვის მოულოდნელია იმის აღმოჩენა, რომ გერმანული სასამართლო ზოგჯერ უშვებს ბრალდებულისთვის მსჯავრის დადებას ანონიმური ინფორმატორების ჩვენების საფუძველზე, რომელსაც სხვა მოწმეები იმეორებენ სასამართლოზე ისე, რომ უარის აცხადებენ ინფორმატორის სახელის დასახელებაზე. ეს ფენომენი გერმანულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში იწოდება „V-Mann“ (Tjertrauensmann - „სანდო კაცი“): ინფორმატორი, როგორც წესი, ან ე.წ. "grass" ან ფარული პოლიციელი, რომელიც პოლიციის სხვა ოფიცერს უმეორებს იმას, რაც სხვას უნახავს და გაუგია და ეს სხვა პოლიციელი თავის მხრივ იმეორებს მის მოყვანილ მტკიცებულებებს სასამართლოსთან ჩვენებაში და არ ამჟღავნებს ინფორმატორის ვინაობას. როგორც ირიბი ჩვენება პრინციპში დასაშვებია გერმანიის კანონმდებლობით, ასეთი მტკიცებულება არ არის დაუშვებელი, როგორც განაგონი (როგორც ეს ხდება ინგლისში). ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ამ შემთხვევაში, მოსამართლის მოვალეობამ მივიდეს ჭეშმარიტებამდე, შესაძლოა აიძულოს ის გაარკვიოს ინფორმატორის ვინაობა და მოიყვანოს ის სასამართლოში ჩვენების მისაცემად. მიუხედავად ამისა, საყოველთაოდ მიღებულია, რომ მოსამართლე არ არის ვალდებული იპოვოს „V-Mann“ და აიძულოს მას მისცეს ჩვენება, თუ ინფორმირებულია, რომ „V-Mann“ ვინაობის გამჟღავნების შემთხვევაში, იგი შურისძიების რისკის ქვეშ დადგება.<sup>22</sup> გერმანული სასამართლოების პოზიციას, რომ ბრალდებული საკმარისად არის დაცული ზემოთ აღნიშნული წესით და რომ სასამართლომ არ უნდა დააფუძნოს თავისი გადაწყვეტილება მხოლოდ ირიბ ჩვენებაზე. მიუხედავად ამისა, გერმანიაში ეს საკმაოდ საკამათო საკითხია. არსებობს ორგანოს სამართლებრივი დასკვნა, რომელიც ამბობს, რომ გერმანიაში მოქმედი

---

<sup>22</sup>„V-Mann“ განიხილება, როგორც "მიუწვდომელი მტკიცებულება" კოდექსის 244-ე მუხლის III პარაგრაფის მე-2 ნაწილის ფარგლებში, იმ პირობით, რომ პოლიციის ქმედება გამართლებულია ამ პირის ვინაობის დამალვით და 244-ე მუხლის III პარაგრაფის მე-2 ნაწილის ფარგლებში, სასამართლოს ზოგადი ვალდებულება - შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით, არ ვრცელდება "მიუწვდომელ მტკიცებულებაზე".

პრაქტიკა „V-Manner“-ის შესახებ, შეუსაბამობაში მოდის კონვენციის მე-6 (3) (დ) მუხლთან.<sup>23</sup>

## დასკვნა

დასავლეთ ევროპული ქვეყნების ნაწილი მოკლე და კონკრეტულ გამონაკლისებს უშვებს ირიბი ჩვენების დასაშვებობისას. ამერიკული მოდელი მოიცავს საკმაოდ ფართო გამონაკლისებს, ასევე ფართო კანადური მოდელიც, თუმცა ამ შემთხვევაში ფაქტის შეფასება მოსამართლეზეა დამოკიდებული. ირლანდიასა და ბრიტანეთში პრეცედენტული სამართლით დადგენილი წესები არაერთმნიშვნელოვანია, ბალანსია დაცული მოსამართლის დისკრეციასა და კონკრეტული გამონაკლისების განსაზღვრას შორის. ქართულ საპროცესო სამართალს ყველაზე კარგად შეესაბამება ესტონური მოდელი, სადაც კონკრეტული გამონაკლისები ჩამოთვლილია საკანონმდებლო დონეზე.

---

<sup>23</sup> N Joachim, “Anonyme Zeugen in Strafverfahren Neue Tendenzen in der Rechtsprechung”, StV 1992, 245.